ანტიდასავლური პროპაგანდა

MDF
მედიის განვითარების ფონდი
unag
საქართველოს გაეროს ასოციაცია
USAID
ამერიკელი ხალხისგან

ანტიდასავლური პროპაგანდა

ავტორი:
თამარ კინწურაშვილი

მკვლევარები:
დალი ქურდაძე, სოფო გელავა

მონაცემთა დამუშავება:
მარიამ ცუცქირიძე, თინა გოგოლაძე

მედია მონიტორინგი:
თამარ გაგნიაშვილი, სოფო გოგაძე, ხატია ლომიძე,
რომა ბაინდურაშვილი, მარიამ გელაშვილი

დიზაინი:
ბესიკ დანელია, IBDESIGN

ანგარიში მომზადდა მედიის განვითარების ფონდის (MDF) მიერ, „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამის“ (PITA) ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციის მიერ, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით. პუბლიკაციაში მოცემული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის პუბლიკაციის ავტორ(ებ)ს და არ უნდა აღიქმებოდეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს და საქართველოს გაეროს ასოციაციის პოზიციად.

ISBN 978-9941-8-0064-1

© 2018, მედიის განვითარების ფონდი

WWW.MDFGEORGIA.GE
WWW.MYTHDETECTOR.GE

შესავალი

წინამდებარე კვლევა მედიის განვითარების ფონდის (MDF) ერთწლიანი მედია მონიტორინგის შედეგების ანალიზს წარმოადგენს, რომლის მიზანი 2017 წელს ქართულ მედიაში გამოვლენილი ანტიდასავლური გზავნილების და ყალბი ინფორმაციის ტიპოლოგიის შესწავლა იყო. დაკვირვება როგორც მედია საშუალებებზე, ასევე სხვა წყაროებზე – პოლიტიკურ კლასზე, სასულიერო პირებზე, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და საზოგადოების ცალკეულ წარმომადგენლებზე ხორციელდებოდა.

ანალოგიური კვლევა მედიის განვითარების ფონდმა 2016 და 2014-2015 წლებშიც ჩაატარა. კვლევა საქართველოს გაეროს ასოციაციასთან (UNAG) პარტნიორობით, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროგრამის „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერა“ ფარგლებში განხორციელდა.

ანგარიში 2017 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს მოიცავს. შესავალ ნაწილში წარმოდგენილია კვლევის მთავარი მიგნებები, მეთოდოლოგია და ერთიანი რაოდენობრივი მონაცემები წყაროების მიხედვით. მეორე ნაწილში მიმოხილულია პროპაგანდის სტრატეგია და მეთოდები. ბოლო ნაწილში კი იმ წყაროების პროფილებია მოცემული, ვინც ყველაზე მეტად გამოირჩევა ანტიდასავლური რიტორიკით.

მეთოდოლოგია

მონიტორინგის სუბიექტებად შეირჩა როგორც მეინსტრიმული, ასევე ტაბლოიდური მედია. მონიტორინგი 17 მედია საშუალებაზე ხორციელდებოდა. ტელევიზიების შემთხვევაში პროგრამული ბადის ცვლილებების გამო ზოგიერთი გადაცემა, რომელიც ეთერიდან მოიხსნა, ახალი ანალოგიური ფორმატის გადაცემებით ჩანაცვლდა. მონიტორინგი შემდეგ სუბიექტებზე განხორციელდა:

- **4 ტელევიზიის პრაიმ თაიმის ყოველდღიური საინფორმაციო და კვირის ანალიტიკური გამოშვება:** საზოგადოებრივი მაუწყებელი (მოამბე, მთავარი[1]), რუსთავი 2 (კურიერი, P.S.), იმედი, (ქრონიკა, იმედის კვირა), მაესტრო (მთავარი თემა).
- **5 ტელევიზიის თოქ-შოუ:** საზოგადოებრივი მაუწყებელი (კვირის ინტერვიუ[2]), რუსთავი 2 (არჩევანი), იმედი (ამომრჩევლის პირისპირ,[3] პირისპირ[4]), ობიექტივი (ღამის სტუდია; ოქროს კვეთა[5]), კავკასია (ბარიერი, სპექტრი).
- **7 ონლაინ გამოცემა:** საქინფორმი, ნეტგაზეთი, ინტერპრესნიუსი, საქართველო და მსოფლიო, PIA, კვირის პალიტრა, მარშალპრესი.
- **4 გაზეთი:** რეზონანსი, პრაიმ თაიმი, ასავალ-დასავალი, ალია.

მონიტორინგი როგორც რაოდენობრივ, ასევე თვისებრივ მონაცემებს ასახავს. რაოდენობრივი ნაწილი მოიცავს ანტიდასავლური კომენტარების რაოდენობას თემატიკის მიხედვით, ხოლო თვისებრივ ნაწილში მოცემულია გზავნილების ტიპოლოგია.

1 გადაცემა საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებით 2017 წლის თებერვალში დაიხურა.

2 10 ნოებრიდან მონიტორინგის სუბიექტებს დაემატა საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი თოქ-შოუ – „კვირის ინტერვიუ“

3 5 სექტემბრიდან 20 ოქტომბრის ჩათვლით მონიტორინგის სუბიექტებს დაემატა იმედის წინასაარჩევნო გადაცემა „ამომრჩევლის პირისპირ“

4 31 ოქტომბრიდან მონიტორინგის სუბიექტებს დაემატა იმედის თოქ-შოუ „პირისპირ“

5 1 აპრილიდან მონიტორინგის სუბიექტებს დაემატა ობიექტივის თოქ-შოუ „ოქროს კვეთა“.

სარჩევი

	მთავარი მიგნებები	7
1.	**ერთიანი მონაცემები**	**9**
2.	**ანტიდასავლური გზავნილები და მათი წყაროები**	**19**
2.1.	მედია	20
2.2.	პარტიები/პოლიტიკოსები	23
2.3.	საზოგადოებრივი ორგანიზაციები	26
2.4.	სასულიერო პირები	26
2.5.	საზოგადოების წარმომადგენლები	27
3.	**პროპაგანდის სტრატეგია და მეთოდები**	**28**
3.1.	სოციალური მედია, როგორც დეზინფორმაციის გავრცელების წყარო	30
3.2.	ისტორიის გაყალბება	31
3.3.	ლიტერატურული ნაწარმოების/სატირულ-იუმორისტული პუბლიკაციის რეალურ ფაქტად წარმოჩენა	31
3.4.	Ad Nauseam	32
3.5.	მცდარი დილემის ტექნიკა	33
3.6.	დეფლექციური წყაროს მოდელი	34
4.	**პროფილები**	**37**
4.1.	მედია	37
4.2.	პარტიები	38
4.3.	საზოგადოებრივი ორგანიზაციები	40

დიაგრამები

დიაგრამა	1.	ანტიდასავლური გზავნილების თემატიკა	9
დიაგრამა	2.	ანტიდასავლური გზავნილების თემატიკა 2016-2017 წლებში	10
დიაგრამა	3.	გზავნილები ამერიკის შეერთებულ შტატებთან დაკავშირებით	11
დიაგრამა	4.	გზავნილები NATO-სთან დაკავშირებით	12
დიაგრამა	5.	გზავნილები დასავლეთთან დაკავშირებით	13
დიაგრამა	6.	გზავნილები ევროკავშირთან დაკავშირებით	14
დიაგრამა	7.	გზავნილები იდენტობასთან დაკავშირებით	15
დიაგრამა	8.	გზავნილები არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სოროსთან დაკავშირებით	16
დიაგრამა	9.	გზავნილები რუსეთთან, საბჭოთა სისტემასთან დაკავშირებით	17
დიაგრამა	10.	გზავნილები დიდ ბრიტანეთთან დაკავშირებით	18
დიაგრამა	11.	ანტიდასავლური გზავნილები წყაროების მიხედვით	19
დიაგრამა	12.	ანტიდასავლური გზავნილების წყაროები მედია საშუალებების და მათი რესპონდენტების მიხედვით	20
დიაგრამა	13.	ანტიდასავლური გზავნილების ტიპოლოგია მედია საშუალებების მიხედვით	21
დიაგრამა	14.	ანტიდასავლური გზავნილების ტიპოლოგია პოლიტიკოსების მიხედვით	23
დიაგრამა	15.	დეფლექციური წყაროს მოდელი	35

მთავარი მიგნებები

მონიტორინგის შედეგად შემდეგი ტენდენციები გამოიკვეთა:

- 2017 წელს მონიტორინგის სუბიექტ 17 მედია საშუალებაში სულ 1967 ანტიდასავლური კომენტარი გამოვლინდა.
- 2015-2016 წლებისგან განსხვავებით, როცა დომინანტი ადამიანის იდენტობასთან და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ნეგატიური გზავნილები იყო, 2017 წელს წინა პლანზე საგარეო პოლიტიკურმა თემატიკამ წამოიწია, რაც საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის საკითხებზე პოლარიზაციის გაზრდას ისახავს მიზნად. ასეთი ცვლილება კრემლისტური აქტორების კომუნიკაციის სტრატეგიაში აჩვენებს, რომ „იდენტობის დაკარგვის საფრთხე" უფრო ტაქტიკური გზავნილი იყო, რომელმაც საწყისს ეტაპზე ნიადაგი შეამზადა, ხოლო საქართველოს სტრატეგიული პარტნიორების (ამერიკა, NATO, ევროკავშირი) დემონიზებაზე მიმართული გზავნილები უფრო სტრატეგიული ხასიათისაა.
- წინა წლებთან შედარებით თითქმის გასამმაგებულია ანტიამერიკული გზავნილები (25,9%), რომელთაც ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი (18,4%) და დასავლეთი (14,1%) მოსდევენ.
- 2016 წელთან შედარებით გაორმაგებულია გზავნილები ევროკავშირის წინააღმდეგ (13,4%), მაშინ, როცა იდენტობის დაკარგვასთან და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით ანტიდასავლურ კონტექსტში გაკეთებული კომენტარები (12,9%) თითქმის განახევრებულია.
- არასამთავრობო ორგანიზაციების და ამერიკელი ფილანტროპის ჯორჯ სოროსის წინააღმდეგ გაკეთებული განცხადებები 7,3%-ს შეადგენს და 2016 წელთან შედარებით თითქმის გასამმაგებულია, რაც ულტრამემარჯვენე ჯგუფების გააქტიურებით და ფონდ ღია საზოგადოება-საქართველოს წინააღმდეგ მათ მიერ წარმოებული კამპანიით უნდა იყოს განპირობებული.
- წინა წლებისგან განსხვავებით, ასევე ვხვდებით უფრო მკაფიო შეფასებებს რუსეთის დასავლეთის ალტერნატივად წარმოჩენისა და საბჭოთა კავშირის იდეალიზების მხრივ (7,2%).
- დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ კომენტარებს (0,8%) ძირითადად 2 კრემლისტურ გამოცემაში – „საქართველო და მსოფლიო" და „საქინფორმი" ვხვდებით.
- ანტიდასავლური გზავნილების მთავარი წყარო, წინა წლების მსგავსად, მედია (827) იყო, რომელსაც პოლიტიკოსები (463) და საზოგადოება (411) მოსდევენ. შემდეგ ადგილზე არიან საზოგადოებრივი ორგანიზაციები (230) და სასულიერო პირები (37).

- ქართულ დისკურსში კრემლის ნარატივის სტრუქტურა 3 საფეხურიანია და მიზნად ისახავს: 1. საფრთხეების შექმნას; 2. პარტნიორების და დასავლური ინსტიტუტებისადმი უნდობლობის დათესვას; 3. საფრთხეებთან ბრძოლაში რუსეთის უალტერნატივობის და ავტორიტარული/საბჭოური მმართველობის საჭიროების აზრის დამკვიდრებას.
- გამოიკვეთა 4 ძირითადი საფრთხე, რომლის მიმართაც კრემლისტური აქტორები შიშს თესავდნენ. ესენია: ომის საფრთხე, ტერიტორიების დაკარგვის, ბიოდივერსიის, იდენტობის დაკარგვის.
- 144 ყალბი ინფორმაციის გადამოწმებისას გამოვლინდა, რომ მედია საშუალებები ხშირად იყენებდნენ ფოტო და ვიდეო მანიპულაციებს, სოციალურ მედიას, როგორც ყალბი ინფორმაციის ცალმხრივ წყაროს, ისტორიის ფაბრიკაციას, ლიტერატურული ნაწარმოების/სატირულ-იუმორისტული პუბლიკაციის რეალურ ფაქტად წარმოჩენის მეთოდს, კონსპირაციებს.
- ისტორიის ფაბრიკაციაში ყველაზე დიდი წილი საბჭოთა წარსულის გაყალბებაზე და საბჭოთა წყობის მიმართ ნოსტალგიის გაღვივებაზე მოდის.
- აქტიურად გამოიყენებოდა დეფლექციური წყაროს მოდელი, როცა გზავნილის ან ყალბი ინფორმაციის ლეგიტიმაციის მიზნით, პროპაგანდისტი ქმნის დეფლექციურ წყაროს, რომელსაც ინფორმაციის მიმღები არ აკავშირებს პროპაგანდისტთან და იმ მედიუმის (დეფლექციური წყაროს) ინფორმაციად აღიქვამს, რომელშიც ის გამოქვეყნდა.
- გამოიკვეთა 4 ძირითადი მედია (Geworld.ge, საქინფორმი, ტვ „ობიექტივი“, „ასავალ-დასავალი“), რომელიც ანტიდასავლური გზავნილების მთავარი წყარო იყო.
- პარტიებიდან ანტიდასავლური გზავნილების მხრივ, 2016 წლის მსგავსად, კვლავ გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა (130) ლიდერობს, რომელსაც პატრიოტთა ალიანსი (91), ქართული დასი (44) და სოციალისტური საქართველო (40) მოსდევენ.
- მედია მონიტორინგის შედეგად სულ 33 საზოგადოებრივი ორგანიზაციის ანტიდასავლური გზავნილი გამოვლინდა, რომელთაგან ყველაზე აქტიური ულტრამემარჯვენე გაერთიანება „ქართული მარში“, გაერთიანებულ დემოკრატიულ მოძრაობასთან დაკავშირებული „სახალხო კრება“, „ევრაზიული ინსტიტუტი“, „უფლებადამცველთა გაერთიანება“, „გლობალური კვლევების ცენტრი“ და „სტალინი“ იყო.
- მიუხედავად იმისა, რომ კრემლისტური გზავნილები სისტემურად და ცენტრალიზებულად ვრცელდება, მათი გავრცელების არხები საკმაოდ ფრაგმენტიზირებულია (მუდმივად ჩნდება ახალ-ახალი ონლაინ პლატფორმები, არასამთავრობო ორგანიზაციები), რაც ახალ მედია ეკოსისტემაში მათ სისტემურ მონიტორინგსა და გავლენის გაზომვას ართულებს.

1. ერთიანი მონაცემები

2017 წელს მონიტორინგის სუბიექტ 17 მედია საშუალებაში სულ 1967 ანტიდასავლური კომენტარი გამოვლინდა. 2016 და 2015 წლებისგან განსხვავებით, როცა დომინანტი ადამიანის იდენტობასთან და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ნეგატიური გზავნილები იყო, 2017 წელს წინა პლანზე საგარეო პოლიტიკურმა თემატიკამ წამოიწია, რაც საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის საკითხებზე პოლარიზაციის გაზრდას ისახავს მიზნად.

დიაგრამა 1. ანტიდასავლური გზავნილების თემატიკა



როგორც დიაგრამა 1-ზე ჩანს, ყველაზე მეტი კომენტარი ამერიკის შეერთებული შტატების (25,9%) წინააღმდეგ გაკეთდა, რაც წინა წელთან შედარებით თითქმის გასამმაგებული მაჩვენებელია (იხ. დიაგრამა 2). ამერიკას მოსდევს ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი (18,4%) და დასავლეთი (14,1%). 2016 წელთან[6] შედარებით გაორმაგებულია გზავნილები ევროკავშირის წინააღმდეგ (13,4%), მაშინ, როცა იდენტობის დაკარგვასთან და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით ანტიდასავლურ კონტექსტში გაკეთებული კომენტარები (12,9%) თითქმის განახევრებულია. არასამთავრობო ორგანიზაციების და ამერიკელი ფილანტროპის ჯორჯ სოროსის წინააღმდეგ გაკეთებული განცხადებები 7,3%-ს შეადგენს და 2016 წელთან შედარებით თითქმის გასამმაგებულია, რაც ულტრამემარჯვენე ჯგუფების გააქტიურებით და ფონდ ღია საზოგადოება-საქართველოს წინააღმდეგ მათ მიერ წარმოებული კამპანიით უნდა იყოს განპირობებული. წინა წლებისგან განსხვავებით, ასევე ვხვდებით უფრო მკაფიო შეფასებებს რუსეთის დასავლეთის ალტერნატივად წარმოჩენისა და საბჭოთა კავშირის იდეალიზების მხრივ (7,2%). დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ კომენტარებს (0,8%) ძირითადად 2 კრემლისტურ გამოცემაში – „საქართველო და მსოფლიო“ და „საქინფორმი“ ვხვდებით.

დიაგრამა 2. ანტიდასავლური გზავნილების თემატიკა 2016-2017 წლებში



თემატიკა	2017	2016
ამერიკა	510	170
NATO	362	253
დასავლეთი	277	251
ევროკავშირი	264	112
იდენტობა	253	411
არასამთავრობოები/ჯორჯ სოროსი	144	61
რუსული ალტრენატივა/საბჭოეთის იდეალიზება	142	

6 მედიის განვითარების ფონდი, ანტიდასავლური პროპაგანდა, 2016. http://mdfgeorgia.ge/geo/view-library/65

ამერიკა. ამერიკის შეერთებულ შტატებთან მიმართებით დომინირებდა აზრი, რომ ის ხელყოფს ჩვენს სუვერენიტეტს, ერევა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და რეალურად მართავს ქვეყანას (183). ამერიკა წარმოდგენილი იყო როგორც კონფლიქტების, ძალადობის, სახელმწიფო გადატრიალებების ინსპირატორი (128), რომელიც თავად ახალისებს ტერორიზმს (40) და სხვა ქვეყნების, მათ შორის საქართველოს, დაცვა არ ძალუძს (39). მკვიდრდებოდა აზრი, რომ პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 2008 წელს რუსეთთან ომი ამერიკის წაქეზებით დაიწყო (33), რომ სტრატეგიულმა პარტნიორმა 2008 წელს საქართველო ვერ დაიცვა და მხოლოდ „წყალი და პამპერსები" შესთავაზა (31). გზავნილების ნაწილი ამკვიდრებდა აზრს, რომ ამერიკა არ არის დაინტერესებული კონფლიქტების მოგვარებით და საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობების დარეგულირებით (23). უკრაინის ომსა და მაიდნის მოვლენების ინსპირირებაში ამერიკის დადანაშაულებას (19) სხვადასხვა ტიპის ანტიამერიკული კომენტარები (14) მოსდევს, რომელთა ნაწილი ამტკიცებს, რომ ამერიკული სანქციები რუსეთის ნაცვლად ეკონომიკურად ევროკავშირს დააზარალებს.

დიაგრამა 3. გზავნილები ამერიკის შეერთებულ შტატებთან დაკავშირებით



NATO. ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებასთან მიმართებით სკეპტიციზმის გაღვივება (134) დომინანტი თემა იყო: მკვიდრდებოდა აზრი, რომ საქართველოს ნატოში გაწევრიანება არარეალურია, რომ ალიანსი თავად განიცდის კრიზისს და რეფორმირებას საჭიროებს, ხოლო კონსტიტუციაში საქართველოს საგარეო პრიორიტეტად ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის ჩანაწერის არსებობა ხელისუფლებას მანევრირების არეალს უზღუდავს. ნატოსთან თანამშრომლობა, მათ შორის საქართველოში ერთობლივი სამხედრო წვრთნების ჩატარების ფაქტი, რუსეთის პროვოცირებად და სამხედრო ესკალაციის შესაძლებლობად იყო წარმოჩენილი (112), რა დროსაც ომის შიშის დანერგვა ხდებოდა და აქცენტი კეთდებოდა იმაზე, რომ ალიანსი საქართველოს უსაფრთხოების გარანტი არ არის. მოსაზრება, რომ ნატოში ინტეგრაციის ფასი საქართველოს ტერიტორიების დაკარგვა და ქვეყნის დაყოფა იქნება (51), ძირითადად არგუმენტირებული იყო იმით, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები აფხაზებისა და ოსებისთვის ალიანსში ინტეგრირება მიუღებელია და რომ ნატოს წესდების მე-5 მუხლი ინტეგრაციის სანაცვლოდ რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების დათმობას მოითხოვს. ნატოს ეგიდით საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში ქართველი ჯარისკაცების მონაწილეობა წარმოდგენილი იყო არა როგორც კოლექტიურ უსაფრთხოებაში შეტანილი წვლილი, არამედ როგორც სხვისთვის გაღებული ხარკი (32), ხოლო 2 შემთხვევაში აქცენტი იყო გაკეთებული იმაზე, რომ ISAF-ის ოპერაციებში მონაწილეობა საქართველოს ე.წ. ისლამური რესპუბლიკის (ISIS) სამიზნეს ხდიდა. ნატო წარმოდგენილი იყო აგრესორად (17), ნატოში ინტეგრაცია კი – საქართველოში თურქეთის ჯარის ინტერვენციის საფრთხედ (6). ცალკეულ შემთხვევებში (8) ხდებოდა 2008 წელს ნატოზე ჩატარებული პლებისციტის და საზოგადოებაში ინტეგრაციასთან დაკავშირებით არსებული კონსენსუსის ეჭვქვეშ დაყენება, რაც იმ მოსაზრების დამკვიდრებას ისახავდა მიზნად, რომ ნატო ქართველი ხალხის არჩევანს არ წარმოადგენს.

დიაგრამა 4. გზავნილები NATO-სთან დაკავშირებით



დასავლეთი. ისევე როგორც ამერიკის შემთხვევაში, დასავლეთთან მიმართებაშიც ყველაზე მეტად მკვიდრდებოდა აზრი, რომ საბჭოთა კავშირის მსგავსად დასავლეთის ქვეყნები საქართველოს სუვერენულ საქმეებში ერევიან და პრაქტიკულად მართავენ ქვეყანას (110). მოსაზრება, რომ დასავლეთის დემოკრატია პირობითია და ის ორმაგი სტანდარტებით მოქმედებს (58), ძირითადად ტელეკომპანია რუსთავი 2-თან დაკავშირებით ევროსასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კრიტიკულ შეფასებას[7], ასევე წინა ხელისუფლების წარმომადგენელთა უფლებების ხელყოფასთან დაკავშირებით დასავლური ინსტიტუტების პოზიციებსა და სხვა საგარეო პოლიტიკურ საკითხებს უკავშირდებოდა. ხდებოდა აზრის დამკვიდრება, რომ დასავლეთი არ არის დაინტერესებული კონფლიქტების მოგვარებით და რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირებით (48), რომ ის თავად ახალისებს ტერორიზმს და ძალადობას (26). საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია დასავლური ქვეყნების, მათ შორის ამერიკის, მსხვერპლად იყო წარმოდგენილი (16), მათი ინტერესი საქართველოს მიმართ კი მხოლოდ ქვეყნის რესურსების ათვისების განზრახვასთან იყო დაკავშირებული (10). 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დაწყება ამ შემთხვევაშიც პრეზიდენტ სააკაშვილს უკავშირდებოდა, რომელიც დასავლური ქვეყნების წაქეზებით მოქმედებდა (7).

დიაგრამა 5. გზავნილები დასავლეთთან დაკავშირებით



7 2017 წლის 2 მარტს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ ტელეკომპანია რუსთავი 2-ის მესაკუთრის ცვლილების თაობაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება დროებით შეაჩერა. http://civil.ge/geo/article.php?id=31082

ევროკავშირი. ევროსკეპტიციზმი ამ თემატიკაში დომინანტი იყო (96), რა დროსაც აქცენტირება, ერთიმხრივ, საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის უპერსპექტივობაზე, მეორე მხრივ ბრექსიტის კრიზისზე და გაერთიანების გარდაუვალ დაშლაზე კეთდებოდა. ხდებოდა ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის უვიზო რეჟიმის დაწესების მნიშვნელობის ერთგვარი გაუფასურება და მტკიცება, რომ ვიზალიბერალიზაცია რეალურად საქართველოს მოქალაქეებისთვის უსარგებლოა (62). მკვიდრდებოდა აზრი, რომ ევროკავშირი საქართველოს მიგრანტების მიღებას აიძულებს (34), საფრთხე, რომელსაც მიგრანტები ევროპაში ქმნიდნენ, საქართველოზეც გავრცელდებოდა (28), ვიზალიბერალიზაცია კი საქართველოში დემოგრაფიულ საფრთხეს გამოიწვევდა (23). სხვადასხვა წყაროები ევროპას ტერორიზმისგან დაუცველ სივრცედ (9), საქართველოს – ევროკავშირის გასაღების ბაზრად (6), ევროკავშირში ინტეგრაციას კი ქვეყნის სუვერენიტეტის ხელყოფად (5) წარმოაჩენდნენ. უკრაინაში განვითარებული მაიდნის მოვლენებში დამნაშავედ ევროკავშირს მხოლოდ ერთი რესპონდენტი ასახელებდა.

დიაგრამა 6. გზავნილები ევროკავშირთან დაკავშირებით



იდენტობა/ღირებულებები. იდენტობასთან დაკავშირებულ თემატიკაში კვლავ დომინირებდა აზრი, რომ დასავლეთი თავს გვახვევს ჰომოსექსუალობას, პედოფილიას, გარყვნილი ცხოვრების წესს (97). მართალია, 2016 წელთან შედარებით ეს მონაცემი მნიშვნელოვნად შემცირებულია[8], მაგრამ როგორც 2017 წლის სიძულვილის ენის მონიტორინგი ცხადყოფს, ჰომოფობია კვლავ სიძულვილის ენის 50%-ზე მეტს შეადგენს (731 ჰომოფობიური კომენტარი). შესაბამისად, ანტიდასავლურ კონტექსტში ამ მონაცემის კლება არ ნიშნავს, რომ საერთო ჰომოფობიური ფონი განეიტრალებულია. შემდეგი გზავნილი კვლავ მართლმადიდებლობასთან და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან დასავლეთის ბრძოლა იყო (71), რა დროსაც ე.წ. ციანიდის საქმე[9], ისევე როგორც ამერიკაში ვიზიტად მყოფი სასულიერო პირების „გადაბირება" – ამერიკას, ხოლო მსოფლიო საპატრიარქოს კონტროლი თურქეთსა და ამერიკის სპეცსამსახურებს ბრალდებოდათ. დასავლეთის საპირწონედ მართლმადიდებლური იდენტობის შენარჩუნებაში ერთმორწმუნე რუსეთის განსაკუთრებულ როლზეც იყო საუბარი. ხდებოდა აზრის დამკვიდრება, რომ დასავლეთი ებრძვის ეროვნულ თვითმყოფადობას, ტრადიციებს, ოჯახს (50) და რომ დასავლური ღირებულებები ჩვენთვის მიუღებელია (35).

დიაგრამა 7. გზავნილები იდენტობასთან დაკავშირებით



NGO, ჯორჯ სოროსი. გაზრდილია ამერიკელი ფილანტროპის და ფონდ „ღია საზოგადოების" დამფუძნებლის ჯორჯ სოროსის წინააღმდეგ გაკეთებული კომენტარები (72), რაც საქართველოში ულტრამემარჯვენე ჯგუფების გააქტიურებას უნდა უკავშირდებოდეს. ასევე ხდებოდა აზრის დამკვიდრება, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები უცხო ქვეყნების დაკვეთას ასრულებენ (50) და მართლმადიდებლობას და ეროვნულ თვითმყოფადობას უცხო ძალების დაკვეთით ებრძვიან (22). გარკვეულ შემთხვევებში უცხოეთიდან დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციების, ასევე ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს" აკრძალვის მოთხოვნებიც ისმოდა. ამ უკანასკნელის შემთხვევაში სამაგალითოდ უნგრეთის ხელისუფლება სახელდებოდა, რომელიც სოროსის ფონდის აკრძალვას გეგმავდა.

8 2016 წელს იდენტობის კატეგორიაში სულ 411 კომენტარი გაკეთდა, საიდანაც 232 ჰომოფობიური კონტექსტის მქონე იყო.

9 2017 წლის 5 სექტემბერს დეკანოზი გიორგი მამალაძე თბილისის საქალაქო სასამართლომ დამნაშავედ ცნო საქართველოს პატრიარქის მდივან-რეფერენტის, შორენა თეთრუაშვილის შურისძიების მოტივით განზრახ მკვლელობის მომზადებასა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვის მუხლებით და ცხრა წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. http://civil.ge/geo/article.php?id=31569

დიაგრამა 8. გზავნილები არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სოროსთან დაკავშირებით



რუსული აღტერნატივა/საბჭოეთის იდეალიზება. საქართველოს წინაშე არსებული პრობლემების გადაჭრის ერთადერთ შესაძლებლობად სხვადასხვა წყაროები ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსის შეცვლას და რუსეთთან სტრატეგიულ პარტნიორობას ასახელებდნენ (64), რაც გარკვეულწილად გაგრძელება იყო იმ ნარატივისა, რომელიც ამტკიცებდა, რომ დასავლეთს და ამერიკის შეერთებულ შტატებს საქართველოს დახმარება არ ძალუძთ და არც რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირებით არიან დაინტერესებულნი. ამასთანავე აქცენტი ევრაზიულ კავშირთან და რუსეთთან თანამშრომლობის სასიცოცხლო აუცილებლობაზე კეთდებოდა. ხდებოდა დიქტატორების – სტალინის, კადაფის, ასადის – გამართლება და იდეალიზება (23). ასადის შემთხვევაში, სხვადასხვა წყარო ამტკიცებდა, რომ ამერიკის და დასავლური კოალიციის პრეტენზიები იმასთან დაკავშირებით, რომ ბაშარ ალ-ასადმა სირიაში ქიმიური იარაღი გამოიყენა, უსაფუძვლოა, რაც როგორც მედიის განვითარების ფონდის ადრეული კვლევა[10] აჩვენებს, რუსული მედიის ნარატივის შემადგენელია. წყაროების ნაწილი ამტკიცებდა, რომ რუსული პროპაგანდის საფრთხე გამოგონილია, ხოლო დასავლური პროპაგანდა რეალური გამოწვევაა (20). ხდებოდა საბჭოთა კავშირის და საბჭოთა სისტემის მიმართ ნოსტალგიის გაღვივება და მისი იდეალიზება (14), ნატო-საქართველო-რუსეთის ახალი ფორმატის ინიციატივა (8) კი მხოლოდ ერთ-ერთ საპარლამენტო სუბიექტს – პატრიოტთა ალიანსს ეკუთვნოდა, რომელიც აღნიშნული პარტიის წარმომადგენლებმა მოსკოვში ვიზიტის შემდეგ გაასაჯაროვეს. კონსპირაცია, რომ ყარსის ხელშეკრულებას[11] 2021 წელს ვადა გასდის, რის შემდეგაც რუსეთი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის გარანტი ვერ იქნება და აჭარას თურქეთი დაიკავებს, შვიდმა წყარომ გაავრცელა, რაც „თურქეთის საფრთხისგან“ დაცვაში რუსეთის როლის მნიშვნელობის აქტუალიზებას ისახავდა მიზნად. რამდენიმე წყარო (5) ამკვიდრებდა აზრს, რომ დასავლეთს რუსეთის ბუნებრივი რესურსების ხელში ჩაგდება სურს, ხოლო მმართველი პარტიის წარმომადგენელმა 1 შემთხვევაში გამოხატა პოზიცია, რომლის თანახმად, 2008 წლის ომის დაწყებაზე პასუხისმგებელი საქართველო იყო და არა რუსეთი.

10 MDF „მუსლიმთა თემატიკის გაშუქება“ ქართულ, რუსულ, აზერბაიჯანულ და თურქულ მედიაში“, 2017 http://mdfgeorgia.ge/geo/view-library/79

11 ყარსის ხელშეკრულება 1921 წლის 23 ოქტომბერს თურქეთს, სომხეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას, აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას და საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას შორის ქალაქ ყარსში დაიდო. შეთანხმების თანახმად, თურქეთმა აჭარის ნაწილი, ქალაქ ბათუმის ჩათვლით, ასევევე ქალაქი გიუმრი საბჭოთა კავშირს გადასცა, ხოლო სანაცვლოდ ყარსი, ართვინი და არტაანი მიიღო. http://mythdetector.ge/ka/myth/dezinpormatsia-potshi-natos-samkhedro-bazis-shesadzlo-gakhsnis-da-qarsis-khelshekrulebis

დიაგრამა 9. გზავნილები რუსეთთან, საბჭოთა სისტემასთან დაკავშირებით

** დიდი ბრიტანეთი.** დიდ ბრიტანეთთან მიმართებით ნეგატიური ტონალობის გზავნილებს ძირითადად კრემლთან დაკავშირებულ 2 მედია საშუალებაში – „საქართველო და მსოფლიო“ და „საქინფორმი“ – ვხვდებით. დომინირებდა აზრი, რომ დიდი ბრიტანეთი წარსული გამოცდილებით კვლავ ცდილობს სხვა ქვეყნების, მათ შორის საქართველოს „კოლონიზაციას“ (8), რომ ის საქართველოს და სხვა ქვეყნებს საინფორმაციო ომის პოლიგონად განიხილავს (2), რის დასტურადაც დიდი ბრიტანეთის მთავრობის კონფლიქტების, სტაბილურობისა და უსაფრთხოების ფონდის (CSSF) საპროგრამო დოკუმენტის საინფორმაციო უსაფრთხოების პოლიტიკას ასახელებდნენ. იმის ილუსტრაციად, რომ დასავლური სახელმწიფოები საქართველოს ინტერესებს არ ატარებენ, ხდებოდა ისტორიული ფაქტების არასწორი ინტერპრეტირება, თითქოს 1945 წელს დიდი ბრიტანეთი საქართველოს ტერიტორიების მიტაცებას უწყობდა ხელს (2). გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ დიდი ბრიტანეთი საქართველოს თანასწორ პარტნიორად დღესაც არ განიხილავს (2), რომ ბრექსიტის გადასაფარად ბრიტანეთის პრემიერმა თავად მოაწყო ტერორისტული აქტი (1) და ის რუსეთის დაშლას გეგმავს (1).

დიაგრამა 10. გზავნილები დიდ ბრიტანეთთან დაკავშირებით



2. ანტიდასავლური გზავნილები და მათი წყაროები

ანტიდასავლური გზავნილების მთავარი წყარო, წინა წლების მსგავსად, მედია (827) იყო, რომელსაც პოლიტიკოსები (463) და საზოგადოება (411) მოსდევენ. შემდეგ ადგილზე არიან საზოგადოებრივი ორგანიზაციები (230) და სასულიერო პირები (37).

დიაგრამა 11. ანტიდასავლური გზავნილები წყაროების მიხედვით



2.1. მედია

გამოიკვეთა 4 ძირითადი მედია, რომელიც ანტიდასავლური გზავნილების მთავარი წყარო იყო. მათგან ყველაზე მეტი ანტიდასავლური კომენტარი ონლაინ გამოცემა „საქართველო და მსოფლიოს“ (Geworld.ge) ჟურნალისტებმა და ავტორებმა (455) გააკეთეს, სადაც ამასთანავე რესპონდენტების 235 იდენტური გზავნილი გამოქვეყნდა. შემდეგ ადგილზეა საინფორმაციო პორტალი „საქინფორმი“ (სარედაქციო კომენტარი – 181, რესპონდენტები – 60), ტვ „ობიექტივი“ (94) და გაზეთი „ასავალ-დასავალი“ (76). აღსანიშნავია, რომ ტვ „ობიექტივი“ (233) და „ასავალ-დასავალი“ (257) რესპონდენტების ანტიდასავლური კომენტარების საკმაოდ მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევიან, რაც თავის მხრივ, მათი სარედაქციო პოლიტიკის გამოხატულებაა, მით უფრო, რომ ამ გამოცემებში მხოლოდ ერთგვაროვანი მოსაზრებები ფიგურირებს და ალტერნატიული მოსაზრებებისთვის სივრცე არ არის.

ანტიდასავლური შინაარსის სარედაქციო კომენტარების შედარებით დაბალი, თუმცა რესპონდენტთა შედარებით მაღალი მაჩვენებელი იკვეთება გაზეთ „ალიას“ (9, რესპონდენტი – 71), ტვ „მაესტროს“ (8, რესპონდენტი – 39), ტვ „კავკასიას“ (2, რესპონდენტი – 58) და „მარშალპრესის“ (2, რესპონდენტი – 67) შემთხვევაში. 10 სხვადასხვა მედია საშუალებაში, მხოლოდ რესპონდენტთა 118 ანტიდასავლური კომენტარი გამოქვეყნდა.

დიაგრამა 12. ანტიდასავლური გზავნილების წყაროები მედია საშუალებების და მათი რესპონდენტების მიხედვით



როგორც დიაგრამა 13-დან ჩანს, „საქართველო და მსოფლიოში“ (154), ასევე ტვ „ობიექტივში“ (33) ყველაზე მაღალია ანტიამერიკული კომენტარები, „საქინფორმში“ (54) – ნატოს წინააღმდეგ მიმართული, ხოლო „ასავალ-დასავალში“ თითქმის თანაბრად არის წარმოდგენილი როგორც დასავლეთთან (16), ასევე იდენტობასთან (14), არასამთავრობო ორგანიზაციებთან (14) და ამერიკასთან (13) დაკავშირებული ნეგატიური სარედაქციო კომენტარები. იდენტობის (84), ისევე როგორც დასავლეთის (60), ევროკავშირისა (50) და დიდი ბრიტანეთის (15) თემები ყველაზე მაღალი ნეგატიური მაჩვენებლით „საქართველო და მსოფლიოში“ გაშუქდა.

დიაგრამა 13. ანტიდასავლური გზავნილების ტიპოლოგია მედია საშუალებების მიხედვით



როგორც „საქართველო და მსოფლიო“, ასევე ტვ „ობიექტივი“ მეტწილად ამკვიდრებდნენ აზრს, რომ ამერიკა თავად არის აგრესორი, გადატრიალებების ინსპირატორი, ახალისებს ტერორიზმს, ხოლო რუსეთი რეალურად ებრძვის მას:

ვალერი კვარაცხელია, წამყვანი: **„ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ბოლო დროს შექმნა მთელი სახელმწიფო ტერორისტული, ე.წ ისლამური სახელმწიფო და მას შესანიშნავად იყენებდა იმისათვის, რომ ახლო აღმოსავლეთში მისი ჰეგემონია განემტკიცებინა. ამას დაუპირისპირდა, პირველ რიგში, რუსეთი და რუსეთმა ჩათვალა, რომ არ არის არანაირად გამართლებული ტერორისტული სახელმწიფოს არსებობა“ (ობიექტივი, ოქროს კვეთა, 2 დეკემბერი).**

იზა თამაზაშვილი, ავტორი: **„ნახეთ, რა დამართა დასავლეთმა უკრაინას? უკრაინელებს კიევის რუსეთი დაავიწყა, ორი მონათესავე ერი ერთმანეთს გადაჰკიდა“ (საქართველო და მსოფლიო, 21 ივლისი).**

„ობიექტივიც“ და გაზეთი „ასავალ-დასავალიც“ ავითარებდნენ აზრს, რომ ამერიკა და დასავლეთი არ არიან დაინტერესებული კონფლიქტების მოგვარებით და რუსეთ-საქართველოს პირდაპირი დიალოგით:

ჯაბა ხუბუა, ჟურნალისტი: **„...კელისრის [იან კელის, საქართველოში ამერიკის ელჩის] შიშით ვერ ბედავს საქართველოს ხელისუფლება, რომ რუსეთთან დიალოგი აწარმოოს და ქვეყნის დეოკუპაციის საკითხზე დაელაპარაკოს პრინციპულად და ღირსეულად, მაშველებისა და ყურში ჩამჩურჩულებლების გარეშე!..“ (ასავალ-დასავალი, 4-10 სექტემბერი)**

ბონდო მძინარაშვილი, წამყვანი: **„ჩვენც გვეუბნებიან ჩვენი მეგობრები, დასავლელი მეგობრები, რომ კი გვეუბნებიან, რომ უნდა დაელაპარაკოთ რუსეთს, მაგრამ თან გვეუბნებიან, რომ მათ ჩვენთან ერთად უნდა დაელაპარაკოთ“ (ობიექტივი, ღამის სტუდია, 4 ოქტომბერი).**

„საქართველო და მსოფლიომ“ ამერიკის მხრიდან საქართველოში შესაძლო ბიოლოგიური დივერსიის შესახებ ყველაზე მეტი მასალა გამოაქვეყნა:

„ლეგენდის მიხედვით, სამხედრო-ბიოლოგიური ლაბორატორიები თითქოს მოწოდებულია, „შეამციროს ბიოლოგიური საფრთხე“ ამა თუ იმ სახელმწიფოში, სინამდვილეში კი არის პენტაგონის კონტროლს დაქვემდებარებული ვირუსებისა და ბაქტერიების კონკრეტულ გენოფონდზე ზემოქმედების შემსწავლელი ქსელი, იქნება ეს ადამიანები, ცხოველები თუ მცენარეები“ (საქართველო და მსოფლიო, 26 ივლისი).

„ობიექტივის“ წამყვანები ავითარებდნენ აზრს, რომ ნატო უძლურია დაგვიცვას, არ გვეხმარება, რაც გვაყენებს აუცილებლობის წინაშე, რუსეთს ველაპარაკოთ:

ნინო ჩაფიშვილი, წამყვანი: **„მერე ხომ ხედავთ რამდენად უსუსურები არიან ნატო-ს წევრი სახელმწიფოები. ვინ არის დაცული?! როდესაც შენ ცენტრში შეიძლება, აი, ესე უცბად სამ ადგილზე ადამიანი მოგიკლას...“ (ობიექტივი, ღამის სტუდია, 5 ივნისი).**

ბონდო მძინარაშვილი, წამყვანი: **„ჩვენ არც იარაღს გვაძლევენ [ნატო] და ფაქტიურად, დასაღეჭად გადაგდებულ ლუკმად გადავიქეცით. რა შეიძლება გავაკეთოთ ასეთ დროს, გარდა იმისა, რომ ველაპარაკოთ იმ მეზობელს [რუსეთს], რომელსაც ჩვენი შიში აქვს“... (ობიექტივი, ღამის სტუდია, 4 ოქტომბერი)**

ევროპის, როგორც ტერორიზმისგან და მიგრანტებისგან დაუცველი სივრცის, ასევე ვიზალიბერალიზაციის შედეგად მიგრანტების მიღების ვალდებულების შესახებ გზავნილებს თითქმის ყველა მედიაში ვხვდებით:

არნო ხიდირბეგიშვილი, მთავარი რედაქტორი: **„ევროპელები თავიანთ ქვეყნებში დევნილებად იქცნენ... იგივე ელის საქართველოს, რომელიც უკვე იღრჩობა არაბი, ინდოელი, ჩინელი და აფრიკელი მიგრანტებისაგან“ (საქინფორმი, 6 ივლისი)**

ნიკა კორინთელი, ჟურნალისტი: **„...ე.წ. დასავლური ფასეულობების, ტოლერანტობისა და მულტიკულტურიზმის დამცველებს სურთ, ჩვენს ქვეყანაშიც ისეთივე ვითარება შეიქმნას, როგორიც არის „ღვთისმშობლის მეჩეთის“ მქონე საფრანგეთში ან ბელგიაში, გერმანიასა თუ დანიაში“ (საქართველო და მსოფლიო, 6 ოქტომბერი).**

ასევე ყველა მედიაში იყო აქტუალური იდენტობის დაკარგვასთან, ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხები, რომელთა თანახმად, დასავლეთი თავს გვახვევს ჰომოსექსუალობას, ებრძვის მართლმადიდებლობას და თვითმყოფადობას:

ჯაბა ხუბუა, ჟურნალისტი: **„კელისრის [იან კელი] შიშით საქართველოს ხელისუფლებას ხმა ვერ ამოუღია ჰომოსექსუალიზმისა და სხვა უკუღმართობათა მძლავრი პროპაგანდის წინააღმდეგ, რომელსაც სულგაყიდული მედიის საშუალებით ახვევენ თავს საქართველოს მოსახლეობას!“ (ასავალ-დასავალი, 4-10 სექტემბერი)**

გიორგი გაჩეჩილაძე, ჟურნალისტი: **„დღეს ქართველ ერს თავს ახვევენ ე.წ. დასავლურ ღირებულებებსა და ფასეულობებს, რომლებიც საფრთხეს უქმნის ოჯახის კულტსა და ეროვნულ ტრადიციებს, უტევს მართლმადიდებლობას, როგორც ერის თვითმყოფადობის შენარჩუნების უკანასკნელ ბასტიონს“ (საქინფორმი, 6 ნოემბერი).**

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲔᲮᲘᲫᲔ, ᲐᲕᲢᲝᲠᲘ: **„რაც კი რამ ჭირი სჭირს პლანეტა დედამიწას, მნიშვნელოვანწილად, დასავლეთის ძლიერთა ამა ქვეყნისათა მიერ რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის მიერ დამკვიდრებული და განხორციელებული „სუვერენული დემოკრატიის“ უგულებელყოფის ბრალია... ანუ, დაუშვებელია, ადამიანის უფლებების დაცვის ნიღბით, დასავლეთ ევროპისა და აშშ–ის დემოკრატიის წესებით ცხოვრება დავაძალოთ არათუ ისლამური კულტურის ერებს, არამედ აღმოსავლეთ ევროპის ან სხვა ტრადიციული პატრიარქალური კულტურის, მენტალიტეტისა და ზნეობრივი ფასეულობების მქონე ქრისტიანულ (ძირითადად, მართლმადიდებლურ) ქვეყნებს, მით უმეტეს – საქართველოს“ (საქართველო და მსოფლიო, 24 ნოემბერი).**

2.2. ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲘ/ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘ

პარტიებიდან ანტიდასავლური გზავნილების მხრივ, 2016 წლის მსგავსად, კვლავ გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა (130) ლიდერობს, რომელსაც პატრიოტთა ალიანსი (91), ქართული დასი (44) და სოციალისტური საქართველო (40) მოსდევენ. ამ უკანასკნელის ლიდერი ტვ „ობიექტივის“ წამყვანიც არის და მედიის ნაწილშიც ფიგურირებს. შემდეგ ადგილებზე არიან ყოფილი ხელისუფლების ცალკეული წარმომადგენლები (25), „თამაზ მეჯიური – ერთიანი საქართველოსთვის“ (22), „მემარცხენე ალიანსი“ (17), უცხო ქვეყნების, მათ შორის რუსეთის, პოლიტიკოსები (16), „თავისუფალი საქართველო“ (15), „ეროვნულები“ (13). სხვადასხვა პარტიებში მმართველი პარტია „ქართული ოცნების“ ცალკეული წევრებიც (6) ფიგურირებენ.

როგორც დიაგრამა 14-დან ჩანს, პარტიების უმეტესობაში დომინანტი ნატოს წინააღმდეგ გაკეთებული განცხადებებია, რასაც მეტ-ნაკლებად თანაბრად სხვადასხვა თემატიკა მოსდევს.

ᲓᲘᲐᲒᲠᲐᲛᲐ 14. ᲐᲜᲢᲘᲓᲐᲡᲐᲕᲚᲣᲠᲘ ᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲢᲘ�პᲝᲚᲝ�გᲘᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ



საქართველოში ნატოს ერთობლივი წვრთნების ჩატარებას რუსეთის პროვოცირებად და საომარი მოქმედებების ესკალაციის საფრთხედ აფასებდა პარტიების უმრავლესობა, ისევე როგორც ნატოში ინტეგრაციას – თურქეთის ინტერვენციად და ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვად. ნატოს ალტერნატივად „გაერთიანებული დემოკრატები“ – უბლოკო სტატუსს, ხოლო „პატრიოტთა ალიანსი“ ნატო-საქართველო-რუსეთის ერთობლივ ფორმატს გვთავაზობდა.

ნინო ბურჯანაძე, გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა: **„ვფიქრობ, რომ ჩვენ ძალიან ძვირი დაგვიჯდება ეს საჩვენებელი პროვოკაცია [ნატოს წვრთნები]... ვშიშობ, რომ ამას შეიძლება კიდევ უფრო ღრმა და მძიმე შედეგები მოჰყვეს ჩვენთვის“ (რუსთავი 2, კურიერი, 2 აგვისტო).**

ვალერი კვარაცხელია, სოციალისტური საქართველო: **„აფხაზეთისა და ცხინვალის შემდეგ, რიგში სამცხე-ჯავახეთი დგას, რადგან აქ მცხოვრები სომხები არასოდეს დათანხმდებიან ნატო-ში შესვლას“ (ასავალ-დასავალი, 7-13 აგვისტო).**

თამაზ მეჰმიაური, თამაზ მეჰმიაური ერთიანი საქართველოსთვის: **„რომც შევიდეთ, ეს არამარტო აფხაზეთის და ცხინვალის, არამედ აჭარის დაკარგვად დაგვიჯდება“ (საქინფორმი, 30 მაისი).**

გიორგი მაღლაკელიძე, პატრიოტთა ალიანსი: **„ნატო ჩვენთვის არის თურქეთის ნატოს ინტერვენცია ჩვენს ტერიტორიაზე, ბელგიელი და ჰოლანდიელი და დანიელი აქ არ იქნება“ (ობიექტივი, ღამის სტუდია, 12 ოქტომბერი).**

თითქმის ყველა პარტია ავითარებდა აზრს, რომ ამერიკა და დასავლეთი არ არიან დაინტერესებული კონფლიქტების მოგვარებით, სააკაშვილმა ომი ამერიკის წაქეზებით დაიწყო და დასავლური ქვეყნები რუსეთთან საქართველოს პირდაპირ დიალოგს აფერხებენ.

ნინო ბურჯანაძე, გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა: **„...2008 წელს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მიხეილ სააკაშვილს ომი დააწყებინა“ (საქინფორმი, 2 აგვისტო).**

ჯონდი ბაღათურია, ქართული დასი: **„ამერიკის შეერთებული შტატებიდან არის ასეთი მითითება, რომ არანაირი პირდაპირი დიალოგი, დიალოგი რუსებთან უნდა აწარმოოთ ჩვენი მეთვალყურეობით და ასეთი არის ჟენევის ფორმატი“ (ობიექტივი, ღამის სტუდია, 19 მაისი).**

ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლების უშიშროების მინისტრი კი, ნატოს მიმართ სკეპტიციზმის დანერგვის პარალელურად, ევრაზიული კავშირის უალტერნატივობაზე საუბრობდა:

ვალერი ხაბურძანია, უშიშროების ყოფილი მინისტრი: **„რუსეთთან და ევრაზიულ სივრცესთან მჭიდრო კავშირი საქართველოს უკეთესი მომავლის საწინდარია! დიახ, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური კეთილდღეობის თვალსაზრისით, საქართველოსთვის სხვა ალტერნატივას ვერ ვხედავ!.. დრომ დაამტკიცა, რომ საქართველოს ნატო-ში შესვლის პერსპექტივა არ გააჩნია, ოღონდ არა იმიტომ, რომ ამას რუსეთი უშლის ხელს, არამედ იმიტომ, რომ თვითონ ნატო-ს არ სჭირდება საქართველო, როგორც ზედმეტი თავის ტკივილი...“ (ასავალ-დასავალი, 21-27 აგვისტო).**

ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის კონსტიტუციაში ჩანაწერის წინააღმდეგ პოზიცია ღიად მმართველი პარტიის ერთმა წარმომადგენელმა გამოხატა, 2008 წლის ომის დაწყებაზე რუსეთიდან პასუხისმგებლობის საქართველოს წინა ხელისუფლებაზე გადატანას კი „ქართული ოცნების“ კაბინეტის წევრი ცდილობდა:

ნუკრი ქანთარია, ქართული ოცნება: **„წინააღმდეგი ვარ, კონსტიტუციის გარდამავალ დებულებაში იმის ჩაწერისა, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსი არის ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია“ (ასავალ-დასავალი, 12-18 ივნისი).**

დავით სერგეენკო, ჯანდაცვის მინისტრი: **„რუსეთის ქმედებების აღწერისას, ძალიან ხშირად, სამწუხაროდ, ტერმინი „მცოცავი ოკუპაცია“ გამოიყენება, რომელიც თავისი საფუძველით არ არის სწორი. ეს არანაირი მცოცავი და ეტაპობრივი არ არის. ეს არის იმ ფარგლების, იმ „საზღვრების“ დადგენა, რომელსაც 2008 წელს, ძალიან სამწუხაროდ, ლეგიტიმაცია მაშინდელმა მთავრობამ გაუკეთა“ (რუსთავი 2, კურიერი, 3 ივლისი, მარშალპრესი, 3 აგვისტო, საქინფორმი, 7 აგვისტო).**

ვიზალიბერალიზაციის ფასად მიგრანტების მიღების ვალდებულება და გარდაუვალი დემოგრაფიული საფრთხე ცალკეული პარტიების ნარატივის ნაწილი იყო:

სანდრო ბრეგაძე, ეროვნულები: **„ახლა თუ გვყავს მილიონნახევარი ემიგრანტი, ვიზალიბერალიზაციის ძალაში შესვლის შემდეგ კიდევ ერთი მილიონი დაგვემატება, საქართველოში აფრიკელები და არაბები დასახლდებიან, რითაც ჩვენი დემოგრაფიული სურათი კიდევ უფრო გაუარესდება და საბოლოოდ, ქართველები ეგზოტიკურ აბორიგენებად გადავიქცევით“ (კვირის პალიტრა, 6-12 თებერვალი).**

მართლმადიდებლობასთან ბრძოლის და დასავლეთის მიერ ჰომოსექსუალობის თავსმოხვევის თემაც თითქმის ყველა პარტიის თუ პოლიტიკოსის დისკურსის შემადგენელი იყო:

ვალერი ხაბუჩაანია, უშიშროების ყოფილი მინისტრი: **„დასავლური მართლმადიდებლობა არის სრული ნონსენსი, კონჩიტა, ანუ წვერებიანი ქალი. ახლა ამის მომხრე ადამიანები რომ არიან სინოდში, ესენი ებრძვიან ორთოდოქს სასულიერო პირებს. ევროვიზიისა არ იყოს, თუ ჩვენი სინოდი კონჩიტას მისცემს ხმას და პატრიარქს გადააყენებს, მაშინ დავღუპულვართ და ეგაა“ (მარშალპრესი, 13 თებერვალი).**

ნუკრი ქანთარია, ქართული ოცნება: **„არასდროს დამიმალავს, რომ ჩემთვის, როგორც მართლმადიდებლისთვის და ამ ქვეყნის შვილისთვის, მიუღებელია ერთსქესიანთა ქორწინება. ნამდვილად არ ვფიქრობ, რომ ჩემი პასუხი ჟურნალისტის კითხვაზე: „არის ქვეყნები, სადაც გადაღებულია კლიპები – საბავშვო ბაღში შემოდის მასწავლებელი და ამბობს, აბა, ვის ჰყავს ორი მამა? და უკრავენ ტაშს. შემდეგ გამოდის ისევ და კითხულობს, აბა, ვის ჰყავს ორი დედა? და ისევ უკრავენ ტაშს. მე არ მგონია, რომ, აი, ის ბავშვები გაიზრდებიან ჯანსაღი და სრულყოფილი ფსიქიკის. ჩვენ ვართ ძალიან ცოტანი, გავუფრთხილდეთ ჩვენს ჯიშს და ჩვენს მომავალს – რაიმე ფორმით არის ანტიდასავლური განცხადება და ეწინააღმდეგება ჩვენი ქვეყნის საგარეო კურსს“ (მარშალპრესი, 19 აპრილი).**

2.3. საზოგადოებრივი ორგანიზაციები

მედია მონიტორინგის შედეგად სულ 33 საზოგადოებრივი ორგანიზაციის ანტიდასავლური გზავნილი გამოვლინდა, რომელთაგან ჩვენ ის 6 გამოვყავით, ვინც ყველაზე ხშირად იყო ხილვადი მედიაში. ულტრამემარჯვენე გაერთიანება „ქართული მარში" ყველაზე აქტიური ჯორჯ სოროსის და უცხოეთიდან დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციების წინააღმდეგ იყო (18), სახალხო კრება (13), ევრაზიული ინსტიტუტი (8) და უფლებადამცველთა გაერთიანება (8) – ამერიკის, გლობალური კვლევების ცენტრი – ნატოს (12) და ევროკავშირის (7). „სახალხო კრება" პრორუსულ პარტია „გაერთიანებულ დემოკრატიულ მოძრაობასთან" დაკავშირებული ორგანიზაციაა. პირდაპირი კავშირები რუსეთთან, damoukidebloba. com-ის კვლევის[12] მიხედვით, „ევრაზიული ინსტიტუტის" და „გლობალური კვლევების ცენტრის" შემთხვევაში იკვეთება. აღნიშნულ ორგანიზაციებს კავშირი რუსეთის აგრესიული ექსპანსიური პოლიტიკის იდეოლოგის, ალექსანდრ დუგინის ორგანიზაცია „საერთაშორისო ევრაზიულ მოძრაობასთან", ასევე „ლევ გუმილევის ცენტრთან" აქვთ.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები	ანტიდასავლური გზავნილები
სახალხო კრება	34
უფლებადამცველთა გაერთიანება	38
გლობალური კვლევების ცენტრი	29
ქართული მარში	28
ევრაზიული ინსტიტუტი	24
სტალინი	11

2.4. სასულიერო პირები

სასულიერო პირებიდან ყველაზე აქტიური ბასილ მკალავიშვილი და ავჭალის ქეთევან წამებულის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის წევრი გიორგი რაზმაძე იყვნენ. ბასილ მკალავიშვილი ამჟამად არ წარმოადგენს საქართველოს საპატრიარქოს, რადგან მისი განკვეთა 1996 წელს მოხდა. ბასილ მკალავიშვილი ექსტრემისტული ქმედებების გამო, რაც იეჰოვას მოწმეებსა და ბაპტისტებზე თავდასხმებში და მათი ლიტერატურის განადაგურებაში გამოიხატა, ხელისუფლებამ 2004 წელს დააპატიმრა, სასამართლომ კი მას 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

სასულიერო პირები	ანტიდასავლური გზავნილები
ბასილ მკალავიშვილი	10
გიორგი რაზმაძე	7
დავით ისაკაძე	4
გრიგოლ მეზვრიშვილი	4

დასავლურ სივრცეში იდენტობის დაკარგვის საფრთხის გარდა, სასულიერო პირების მხრიდან კეთდებოდა განცხადებები რუსეთის, როგორც მართლმადიდებელი ქვეყნის განსაკუთრებულ როლზე, ასევე იმაზე, რომ წინა ხელისუფლებამ ომი ამერიკის დაკვეთით დაიწყო.

[12] Damoukidebloba. Com, „რუსული გავლენა ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მედიაზე", 2015. http://damoukidebloba.com/c/news/rusuli_gavlena

ბასილ მკალავიშვილი, სასულიერო პირი: **„მე, მართლმადიდებელი ქართველი მღვდელი, რომელიც ვაცნობიერებ ჩვენი ქვეყნის წინაშე არსებულ საფრთხეებს, მივმართავ ძლევამოსილ რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს: რუსეთი უძლიერესი მართლმადიდებელი ქვეყანაა და ჩვენი დაპირისპირება ხელს აძლევს მასონურ, ანტიქრისტიანულ ძალებს!“ (ასავალ-დასავალი, 17-23 ივლისი).**

გიორგი მეზვრიშვილი, სასულიერო პირი: **„ერთადერთი ძალა, რომელმაც აგვისტოს ომში გაიმარჯვა, ამერიკის შეერთებული შტატები იყო. მის მიერ დაგეგმლი და განხოციელებული მზაკვრული ოპერაციის შედეგად რუსეთის საზღვრებთან, კავკასიაში ორი ისეთი ნაღმი ჩადო, რომელთა ამოქმედება არა მარტო რუსეთის ფედერაციის დესტაბილიზაცია, არამედ მთელი კავკასიის ცეცხლის ალში გახვევა შეუძლია“ (ასავალ-დასავალი, 14-20 აგვისტო).**

2.5. საზოგადოების წარმომადგენლები

ყველაზე მეტი ანტიდასავლური კომენტარი საზოგადოების წარმომადგენლების მხრიდან ჰამლეტ ჭიპაშვილს ეკუთვნის, რომელიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილი მეთაურის ასლან აბაშიძის პარტია „აღორძინების კავშირის“ წევრი იყო და ყველაზე ხშირად ტვ „ობიექტივის“ ეთერში იყო წარმოდგენილი. ყველაზე ხშირად საზოგადოების მხრიდან ანტიდასავლურ განწყობებს ტელეკომპანია „ობიექტივის“ მაყურებლები სატელეფონო ჩართვის ფორმატში გამოხატავდნენ. კრემლისტურ მედიაში ასევე ხშირად ფიგურირებდა მოსკოვში მოღვაწე პოლიტოლოგი ალექსანდრე ჭაჭია, რომელიც გამოცემა „საქართველო და მსოფლიოს“ დამფუძნებელი ორგანიზაციის „ისტორიული მემკვიდრეობის“ საზოგადოებრივი საბჭოს წევრია. რუსეთთან კავშირები იკვეთება ასევე 2008 წლის ომის დროს რუსეთისთვის ჯაშუშობისთვის გასამართლებული ტრისტან წითელაშვილის შემთხვევაში, რომელიც შემდგომში „ქართულმა ოცნებამ“ პოლიტპატიმრის სტატუსით გაათავისუფლა. ტრისტან წითელაშვილს ხშირად ციტირებდნენ როგორც ქართულენოვანი, ასევე რუსულენოვანი წყაროები იმ ვერსიის გასამყარებლად, თითქოს მაიდანზე მომიტინგეებს ცეცხლი ქართველმა სნაიპერებმა გაუხსნეს და უკრაინაში მაიდნის მოვლენები დასავლეთის ინსპირირებულია[13]. ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი კი 2017 წლიდან რუსეთის ხელისუფლების მიერ დაფუძნებული Sputnik-საქართველოს მიმომხილველია.

საზოგადოების წარმომადგენლები	ანტიდასავლური გზავნილები
ჰამლეტ ჭიპაშვილი, პოლიტოლოგი	50
ობიექტივის მაყურებელი	38
ალექსანდრე ჭაჭია, პოლიტოლოგი	21
რეზო ამაშუკელი, პოეტი	20
სოსო ცინცაძე, პოლიტოლოგი	12
ტრისტან წითელაშვილი, ჯაშუშობისთვის გასამართლებული სამხედრო	11
მიხეილ ცაგარელი, „სპუტნიკის“ მიმომხილველი, ასტროლოგი	10

13 მითების დეტექტორი, „ქართველი სნაიპერების შესახებ გაყალბებულ ფილმს ტრისტან წითელაშვილი ამყარებს“, 11 დეკემბერი, 2017.

3. პროპაგანდის სტრატეგია და მეთოდები

კრემლის ნარატივის სტრუქტურა. ქართულ დისკურსში კრემლის ნარატივის სტრუქტურა 3 საფეხურიანია და მიზნად ისახავს:

1. საფრთხეების შექმნას;
2. პარტნიორების და დასავლური ინსტიტუტებისადმი უნდობლობის დათესვას;
3. საფრთხეებთან ბრძოლაში რუსეთის უალტერნატივობის და ავტორიტარული/საბჭოური მმართველობის საჭიროების აზრის დამკვიდრებას.

საფრთხის შექმნა	→	უნდობლობის დათესვა	→	საფრთხეებთან ბრძოლა
1. ომის საფრთხე 2. ტერიტორიების დაკარგვის 3. ბიო დივერსიის 4. იდენტობის დაკარგვის		1. სტრატეგიული პარტნიორების მიმართ 2. ინსტიტუტების მიმართ 3. დემოკრატიის მიმართ		1. ერთმორწმუნე რუსეთი 2. ძლიერი რუსეთი 3. ავტორიტარული / საბჭოთა მმართველობა

I. საფრთხეები →

1. ომის →
   - სააკაშვილმა ომი ამერიკის წაქეზებით დაიწყო.
   - NATO = რუსეთის პროვოცირებას.
2. ტერიტორიების დაკარგვის →
   - NATO = ტერიტორიების დაკარგვას.
   - NATO = თურქეთის ინტერვენციას.
   - 2021 წ. ყარსის ხელშეკრულებას ვადა გაუვა და რუსეთი ვეღარ დაიცავს აჭარას თურქეთისგან.
3. ბიოლოგიური დივერსიის →
   - ლუგარის ლაბორატორიის ვირუსები ქართულ გენს ანადგურებს / იწვევს ეპიდემიებს.

4. იდენტობის დაკარგვის →
- რელიგიური
- ეთნიკური
- გენდერული
- ასიმილაციის (მიგრანტები)

II. უნდობლობის დათესვა →

1. სტრატეგიული პარტნიორებისადმი →
- 2008 წლის ომის დროს ამერიკამ ვერ დაგვიცვა
- ამერიკას/ნატოს/ევროკავშირს საქართველოს დაცვა არ ძალუძთ.
- ამერიკა/ევროკავშირი არ არიან დაინტერესებული კონფლიქტების მოგვარებით, რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირებით.

2. ინსტიტუტებისადმი →
- საქართველოს, ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლების ნაცვლად, ამერიკა და დასავლეთი მართავს.
- არასამთავრობო ორგანიზაციები უცხო ქვეყნის დაკვეთას ასრულებენ.

3. დემოკრატიისადმი →
- დასავლური დემოკრატია პირობითია, ორმაგი სტანდარტებით მოქმედებს.
- ევროსაბჭო, ევროკავშირი, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო დემოკრატიული ინსტიტუტები არ არიან.

III. საფრთხეებთან ბრძოლა →

1. ერთმორწმუნე რუსეთი →
- იცავს მართლმადიდებლობას.
- ებრძვის ჰომოსექსუალობას.

2. ძლიერი რუსეთი →
- რეალურად ებრძვის ტერორიზმს, ერთადერთი უსაფრთხო სივრცეა ტერორიზმისგან.
- იცავს ქვეყნებს აგრესორი ნატოსგან, ამერიკისგან.

3. ავტორიტარული / საბჭოთა მმართველობა →
- საბჭოთა სისტემა, რომელიც დასავლეთმა დაშალა, დაგვიცავდა დღევანდელი გამოწვევებისგან.
- სტალინი რომ ცოცხალი იყოს, საქართველოს გაამთლიანებდა.
- ლიბია სოციალურად დაცული სახელმწიფო იყო, რომელიც დასავლეთმა გაანადგურა.

პროპაგანდის მეთოდები. ერთწლიანი მედია მონიტორინგის დროს, მედიის განვითარების ფონდმა პროექტის „მითების დეტექტორის“ ფარგლებში 144 დეზინფორმაცია გამოავლინა, რომელშიც მონიტორინგის სუბიექტი მედია საშუალებების გარდა, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით სოციალურ ქსელებში გავრცელებული სხვა მედიების ყალბი ინფორმაციაც შევიდა. 144 ყალბი ფაქტის გადამოწმების დროს გამოყენებული იყო შემდეგი მეთოდები:

- ყალბი ფოტო (23);
- ისტორიის გაყალბება (19);
- სოციალური მედია, როგორც ყალბი ინფორმაციის ცალმხრივი წყარო (8);
- კონსპირაცია (6);
- ვიდეომანიპულაცია (5);
- ლიტერატურული ნაწარმოების/სატირულ-იუმორისტული პუბლიკაციის რეალურ ფაქტად წარმოჩენა (4);
- დანარჩენ შემთხვევაში მხოლოდ ყალბი და მანიპულაციური ამბები იყო გავრცელებული.

3.1. სოციალური მედია, როგორც დეზინფორმაციის გავრცელების წყარო

ყალბი ინფორმაციის გასავრცელებლად ხშირად წყაროდ სოციალურ მედიას იყენებენ. ამ შემთხვევაში სოციალური მედია ერთი პირის მიერ მოწოდებულ, დამოუკიდებელ წყაროებთან გადაუმოწმებელ ინფორმაციას გვთავაზობს. ტაბლოიდური ონლაინ ან ბეჭდვითი ახალი ამბების მედია ყალბი ინფორმაციის გავრცელების სწორედ ამ მეთოდს იყენებს, რითაც თავის მხრივ, სოციალური მედიით გავრცელებული გადაუმოწმებელი ცნობების ლეგიტიმაციას ახდენს.



რელიგიური გრძნობებით მანიპულირების მიზნით პარტია „ქართული დასის“ ლიდერის ჯონდი ბაღათურიას მიერ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული ფოტო, თითქოს უკრაინაში სქიზმატების მიერ მართლმადიდებელი ეკლესიის დარბევა მოხდა, ონლაინ სააგენტოებმა ფოტოს რეალურობის გადამოწმების გარეშე გამოაქვეყნეს. მიუხედავად იმისა, რომ მასზე რეალურად 2010 წლის 28 ივლისს უკრაინის ქალაქ ზაპოროჟიეს მართლმადიდებლურ ეკლესიაში მომხდარი აფეთქების სცენა იყო ასახული[14].

[14] მითების დეტექტორი, „ბაღათურია უკრაინაში მართლმადიდებლური ტაძრების დარბევის შესახებ დეზინფორმაციულ ფოტოებს ავრცელებს“, 15 ივნისი, 2017
http://mythdetector.ge/ka/myth/baghaturia-ukrainashi-martlmadidebluri-tadzrebis-darbevis-shesakheb-dezinpormatsiul-potoebs

3.2. ისტორიის გაყალბება

ისტორიის ფაბრიკაციაში ყველაზე დიდი წილი საბჭოთა წარსულის გაყალბებაზე და საბჭოთა წყობის მიმართ ნოსტალგიის გაღვივებაზე მოდის.

ხდებოდა საბჭოთა კავშირის მიერ ჩადენილი დანაშაულების გამართლება და ისტორიული ფაქტების არასწორად წარმოჩენა, კერძოდ, კატინის ტრაგედიის[15], გოლოდომორის[16], უკრაინაში ჰოლოკოსტის[17], საბჭოთა კავშირის მიერ ლიტვის ოკუპაციის[18], 1937 წლის სტალინის რეპრესიების[19] შესახებ.

საბჭოთა კავშირის მიმართ ნოსტალგიის გაღვივებას ისახავდა მიზნად მითები, რომელიც ამტკიცებდა, რომ სტალინის მმართველობა დემოკრატიული იყო[20], ლავრენტი ბერია საქართველოს განვითარებას უწყობდა ხელს[21], საქართველოს ელექტროფიკაცია საბჭოთა კავშირის დამსახურებაა[22], საბჭოთა საქართველოში მეტროს გახსნის დროს დასავლეთში მეტროპოლიტენზე ოცნებობდნენ[23] და სხვა.

3.3. ლიტერატურული ნაწარმოების/სატირულ-იუმორისტული პუბლიკაციის რეალურ ფაქტად წარმოჩენა

პროპაგანდის ერთ-ერთი მეთოდი, რომელიც ქართულ მედიაში იყო აპრობირებული, ლიტერატურული ნაწარმოებებისა და სატირულ-იუმორისტული ამბების რეალურ ფაქტად წარმოჩენა იყო.

მხატვრული ნაწარმოების, საბჭოთა რომან „მარადიული ძახილის“ (Вечный зов) ე.წ. „დალესის გეგმად“[24] წარმოჩენა ქართულ მედიაში 2015-2016 წლებშიც ხდებოდა და 2017 წელსაც ორჯერ განმეორდა. აღნიშნუ-

15 მითების დეტექტორი, „კატინის ტრაგედიის გაყალბების მცდელობა“, 13 ივნისი, 2017 http://mythdetector.ge/ka/myth/katinis-tragediis-gaqalbebis-mtsdeloba

16 მითების დეტექტორი, „3 ტყუილი უკრაინაში გოლოდომორის შესახებ“, 23 ივნისი, 2017 http://mythdetector.ge/ka/myth/3-tquili-ukrainashi-golodomoris-shesakheb

17 მითების დეტექტორი, „Politicano-ს ყალბი თარგმანი უკრაინაში ჰოლოკოსტის შესახებ“, 28 ივნისი, 2017 http://mythdetector.ge/ka/myth/politicano-m-dailymail-masala-gaaqalba

18 მითების დეტექტორი, „Politicano საბჭოთა კავშირის მიერ ლიტვის ოკუპაციას ამართლებს“, 17 ოქტომბერი, 2017 http://mythdetector.ge/ka/myth/politicano-sabchota-kavshiris-mier-litvis-okupatsias-amartlebs

19 მითების დეტექტორი, „პრორუსული მედია 1937 წლის რეპრესიებს ამართლებს!“, 29 ნოემბერი, 2017 http://mythdetector.ge/ka/myth/prorusuli-media-1937-clis-represiebs-amartlebs

20 მითების დეტექტორი, „ОБКОМ TB და „ობიექტივი“ ამტკიცებენ, რომ სტალინმა დემოკრატიის მხრივ მთელ მსოფლიოს გაუსწრო“, მასალის გამოქვეყნება – 30 დეკემბერი, 2017. http://mythdetector.ge/ka/myth/obkom-tv-da-obiektivi-amtkitseben-rom-stalinma-demokratiis-mkhriv-mtel-msoplios-gauscro

21 მითების დეტექტორი, „მითები ლავრენტი ბერიას შესახებ“, 16 ნოემბერი, 2017 http://mythdetector.ge/ka/myth/mitebi-lavrenti-berias-shesakheb

22 მითების დეტექტორი, „მანიპულაცია: Politicano საქართველოს ელექტროფიცირებას საბჭოთა კავშირს მიაწერს“, 1 დეკემბერი, 2017. http://mythdetector.ge/ka/myth/manipulatsia-politicano-sakartvelos-elektropitsirebas-sabchota-kavshirs-miacers

23 მითების დეტექტორი, „მტკიცება, თითქოს „საბჭოთა აღმშენებლობის“ დროს დასავლეთში მეტროპოლიტენზე ოცნებობდნენ, მცდარია“, 1 ნოემბერი, 2017 http://mythdetector.ge/ka/myth/mtkitseba-titkos-sabchota-aghmsheneblobis-dros-dasavletshi-metropolitenze-otsnebobdnen-0

24 მითების დეტექტორი, „Geworld.ge საქართველოში ბილწსიტყვაობის გამოყენებას დალესის დოქტრინას უკავშირებს“, 5 ივლისი, 2017. http://mythdetector.ge/ka/myth/geworldge-sakartveloshi-bilcsitqvaobis-gamoqenebas-dalesis-doktrinas-ukavshirebs

ლი კონსპირაციის თანახმად, ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს (CIA) უფროსმა ალენ დალესმა ცივი ომის დროს შეიმუშავა გეგმა, რომელიც საბჭოთა საზოგადოების მორალური ფასეულობების განადგურების გზით, საბჭოთა კავშირის დაშლას ისახავდა მიზნად.

პროპაგანდისტული მედია პლატფორმები ასევე წყაროდ იყენებდნენ სატირულ-იუმორისტული ვებგვერდების მასალებს, რომელთაც საზოგადოებას რეალურ ამბად აწოდებდნენ. მაგალითად, ერთ-ერთი პუბლიკაცია[25], რომელიც ამტკიცებდა, რომ ვაშინგტონის სმითსონის მუზეუმის ღამის დარაჯი 2500 წლის მუმიის გაუპატიურებისათვის დააკავეს, მიზნად ისახავდა აზრის დამკვიდრებას, რომ ნეკროფილია დასავლური ცხოვრების წესია.

3.4. AD NAUSEAM

Ad nauseam-ის ტექნიკა ერთი და იმავე იდეის განუწყვეტლივ განმეორებას გულისხმობს. ეს შესაძლოა იყოს იდეა, ან მარტივი სლოგანი, რომელსაც იმდენად ხშირად იმეორებენ, რომ ადამიანები მას იჯერებენ.

ისევე, როგორც 2015-2016 წლებში, იმის საილუსტრაციოდ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს საქართველოს ომის საფრთხისგან დაცვა არ ძალუძს, სხვადასხვა რესპონდენტები 2017 წელსაც ახმოვანებდნენ იდენტურ გზავნილს, რომ ამერიკა 2008 წლის ომის დროს საქართველოს მხოლოდ „წყლით და პამპერსით“ დაეხმარა. ამასთანავე, აქცენტი კეთდებოდა იმაზე, რომ მომავალში მსგავსი საფრთხის პირობებში სტრატეგიული მოკავშირის იმედი არ უნდა გვქონოდა.

25 მითების დეტექტორი, „Geworld-ის ფოტომანიპულაციები და დეზინფორმაცია მუმიისა და ცვილის ფიგურის გაუპატიურების შესახებ“, 27 აპრილი, 2017. http://mythdetector.ge/ka/myth/geworld-potomanipulatsiebi-da-dezinpormatsia-mumiisa-da-tsvilis-piguris-gaupatiurebis-0

ნინო ბურჯანაძე, გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა: „ამერიკას **პამპერსების და წყლის გარდა** არაფერი გამოუგზავნია ჩვენთვის 2008 წელს, იგივე არის ახლა.“

კავკასია, ბარიერი, 1 აგვისტო

ჯონდი ბაღათურია, ქართული დასი: „გამოცდილება გვაქვს, გაჭირვების დროს, ომის დროს **პამპერსებს** რომ გვიგზავნიან ამერიკელები და სხვას არაფერს“.

ალია, 6-12 თებერვალი

გიორგი მაღლაკელიძე, პატრიოტთა ალიანსი: „მოდით, პირდაპირ ვთქვათ, იმ აგრესიის და გიბრიდული ომის შემთხვევაში, არაფერს არ ნიშნავს. საუკეთესო შემთხვევაში შეიძლება იყოს **წყლით და პამპერსებით** და სხვადასხვა ესეთი საკვებით, ჰუმანიტარული დახმარებები და ისევ მტრის პირისპირ დარჩები“.

ობიექტივი, ღამის სტუდია, 12 ოქტომბერი

გიორგი გიგაური, ჟურნალისტი: „პუტინმა ისიც გაგვახსენა, როგორ დაგვიკიდა ფეხებზე სრულიად დასავლეთმა და, განსაკუთრებით, ჩვენმა „სტრატეგიულმა მოკავშირე“ ამერიკამ, რომელმაც რუსული ტანკები ჯერ კარგად აჯლიგინა საქართველოში, შემდეგ კი, **პამპერსებისა და წყლის** დიდი პარტია გამოგვიგზავნა „დასახმერებლად“! ჰოდა ამიტომაც გვითხრა **პუტინმა – ჩააფურთხეთ ნატო-შიო!“**

ასავალ-დასავალი, 29 მაისი – 4 ივნისი

განმეორებით ქვეყნდებოდა სარედაქციო მასალები, ასევე სხვადასხვა რესპონდენტები ახმოვანებდნენ კონსპირაციას ყარსის ხელშეკრულების შესახებ, რომლის თანახმად, ყარსის ხელშეკრულებას[26] 2021 წელს ვადა გასდის, რის შემდეგაც რუსეთი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის გარანტი ვერ იქნება და აჭარას თურქეთი დაიკავებს.

წინა წლების მსგავსად, 2017 წელსაც ხშირად ქვეყნდებოდა კონსპირაციები რიჩარდ ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის შესახებ, რომელთა თანახმად, ლაბორატორიაში სიცოცხლისთვის საზიანო ვირუსები გამოჰყავთ, რომლებიც ქართული გენის განადგურებას ისახავს მიზნად.

3.5. მცდარი დილემის ტექნიკა

მცდარი დილემის ანუ შავ-თეთრი აზროვნების ტექნიკა გულისხმობს მხოლოდ ორი ალტერნატივის დასახვას და ერთ-ერთისათვის უპირატესობის მინიჭებას.

26 ყარსის ხელშეკრულება 1921 წლის 23 ოქტომბერს თურქეთს, სომხეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას, აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას და საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას შორის ქალაქ ყარსში დაიდო. შეთანხმების თანახმად, თურქეთმა აჭარის ნაწილი, ქალაქ ბათუმის ჩათვლით, ასევევე ქალაქი გიუმრი საბჭოთა კავშირს გადასცა, ხოლო სანაცვლოდ ყარსი, ართვინი და არტაანი მიიღო. http://mythdetector.ge/ka/myth/dezinpormatsia-potshi-natos-samkhedro-bazis-shesadzlo-gakhsnis-da-qarsis-khelshekrulebis

იმის სადემონსტრაციოდ, რომ ნატოში ინტეგრაციის საფასური იმ ტერიტორიების დაკარგვა იქნება, რომელიც რუსეთს აქვს ოკუპირებული, სხვადასხვა წყაროების მცდარი დილემის ტექნიკას მიმართავდნენ.

გზავნილი: NATO = **ტერიტორიების დაკარგვას**

ადა მარშანია, პატრიოტთა აღიანსი: „რა არი ჩვენი მიზანი, **ნატოში შესვლა თუ სოხუმში შესვლა?**“

იმედი, ქრონიკა, 24 სექტემბერი

თემურ მირიანაშვილი, ედუარდ შევარდნაძის ყოფილი მრჩეველი: „მარტივი არჩევანის წინაშე ვდგავართ – **ან დასავლეთისკენ უნდა წავიდეთ და საბოლოოდ დავკარგოთ ტერიტორიები,** მეტიც, კითხვის ნიშნის ქვეშ დავაყენოთ ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები **ან ევრაზიულ კავშირში გავწევრიანდეთ და აფხაზეთი, სამაჩაბლო დავიბრუნოთ!**“

ასავალ-დასავალი, 8-14 მაისი

ნინო რატიშვილი, წამყვანი: „რომ ჰკითხოთ **ნატო თუ ტერიტორიები?** ის ადამიანები გეტყვიან, რომ ნატო, მაგრამ საზოგადოების უდიდესი ნაწილი იტყვის, რომ ჩვენი ტერიტორია...“

ობიექტივი, ღამის სტუდია, 17 ივლისი

გზავნილი: რუსეთში წარმატების მიღწევა შესაძლებელია, დასავლეთში – არარეალური

სოსო შაფბერაშვილი, მემარცხენე აღიანსი: **„მტრად შერაცხულ რუსეთში ქართველები ელიტაა, მეგობარ ამერიკაში კი – მონა-მსახურები! ასევეა საბერძნეთში, გერმანიაში, იტალიასა თუ ესპანეთში! აღარაფერს ვამბობ თურქეთზე, სადაც ქართველებს, უბრალოდ, წიწილებივით კლავენ! ჩვენი ხელისუფლება კი, რუსეთის ლიდერებს მოლაპარაკებებზე უარს ეუბნებიან და ნატო-ში გაწევრიანებით იმუქრებიან!“ (ასავალ-დასავალი, 29 მაისი – 4 ივნისი).**

3.6. დეფლექციური წყაროს მოდელი

აქტიურად გამოიყენებოდა დეფლექციური წყაროს მოდელი, როცა გზავნილის ან ყალბი ინფორმაციის ლეგიტიმაციის მიზნით, პროპაგანდისტი ქმნის დეფლექციურ წყაროს, რომელსაც ინფორმაციის მიმღები არ აკავშირებს პროპაგანდისტთან და აღიქვამს იმ მედიუმის (დეფლექციური წყაროს) ინფორმაციად, რომელშიც ის გამოქვეყნდა.



დეფლექციურ წყაროებად ძირითადად ისეთი ცნობილი მედია საშუალებების სახელებს იყენებენ, როგორიც Fox-ი, Guardian-ი, Usa-radio-ა. მაგალითად, ყალბი ინფორმაცია და ფოტოები, ასევე ყალბი ვიდეო იმის შესახებ, რომ თურქები ცოცხალი სირიელი ბავშვების ორგანოებით ვაჭრობენ, ქართულენოვანმა ვებ-პორტალმა Foxnews.ge-მ[27] ბერძნულენოვან Hellasforce.com-ზე დაყრდნობით გაავრცელა. აღნიშნული ფაბრიკაცია, რომელიც სოციალურ ქსელში ვირუსულად გავრცელდა, ანტითურქული განწყობების გაღვივებას უწყობს ხელს, რაც ანტიდასავლური დისკურსის შემადგენელია და რუსეთის საფრთხიდან აქცენტის სხვა საფრთხეებზე გადატანას ისახავს მიზნად.

საგანგებოდ შეიქმნა ბრიტანული გამოცემა The Guardian-ის ვიზუალურად იდენტური ვებ-გვერდი, რომლის url მისამართი რეალური The Guardian-ისგან ერთი ლათინური ასო – i – თი განსხვავდებოდა (www.theguardian.com). ფსევდო გარდიანის მიერ გამოქვეყნებული ბრიტანეთის საგარეო დაზვერვის ყოფილი ხელმძღვანელის ყალბი ინტერვიუ, თითქოს აშშ და დიდი ბრიტანეთი სამხრეთ ოსეთში სამხედრო და სადაზვერვო ბაზების განლაგებას და კავკასიის დესტაბილიზაციაში რადიკალი ისლამისტების ჩართვას გეგმავდნენ, ქართულ მედიაშიც გავრცელდა[28].

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს იმ რუსულენოვან მედია პლატფორმებს, სადაც ქართული მედია საშუალებების იდენტური ყალბი ინფორმაციები გამოქვეყნდა, ხოლო ქართულ მედიას რუსული წყაროების იდენტიფიცირება არ მოუხდენიათ.

დიაგრამა 15. დეფლექციური წყაროს მოდელი



27 მითების დეტექტორი, „Foxnews.ge-ს ფოტომანიპულაცია სირიელი ბავშვების ორგანოებით ვაჭრობის შესახებ დამასკოს, ინდონეზიის და აფხაზეთის მოვლენებს ასახავს“, 16 მაისი, 2017. http://mythdetector.ge/ka/myth/18-foxnewsge-s-potomanipulatsia-sirieli-bavshvebis-organoebit-vachrobis-shesakheb-damaskos
„Foxnews.ge-ს ვიდეომანიპულაცია სირიელი ბავშვების ორგანოებით ვაჭრობის შესახებ“, 18 მაისი, 2017. http://mythdetector.ge/ka/myth/18-foxnewsge-s-videomanipulatsia-sirieli-bavshvebis-organoebit-vachrobis-shesakheb

28 მითების დეტექტორი, „Geworld.ge და „საქინფორმი“ ბრიტანეთის საგარეო დაზვერვის ყოფილი ხელმძღვანელის გაყალბებულ ინტერვიუს აქვეყნებენ“, 16 აგვისტო, 2017. http://mythdetector.ge/ka/myth/geworldge-da-sakinpormi-britanetis-sagareo-dazvervis-qopili-khelmdzghvanelis-gaqalbebul

იდენტიფიცირებული რუსული წყაროები

დეფლექციური მოდელის გარდა, როგორც ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ჩანს, გარკვეულ შემთხვევებში ზოგიერთი მედია საშუალება მათი რუსული წყაროების იდენტიფიცირებას ღიად ახდენდა.

ქართული მედია	იდენტიფიცირებული რუსული წყარო
საქართველო და მსოფლიო	Fondsk.ru Русская Весна Комсомольская Правда Россия 24 1info.net Известия
თბილისი 24	Lenta.ru ТАСС РИА Новости ფეისბუქ ჯგუფი смейся до слёз
ასავალ-დასავალი	Комсомольская Правда
საქინფორმი	Regnum.ru Eurasia Daily
ობიექტივი	РОССИЯ 1 Россия 24 ЦАРЬГРАД ТВ Рен ТВ
მარშალპრესი	რადიო „სპუტნიკი“ საინფორმაციო სააგენტო Росбалт

4. პროფილები

4.1 მედია

ასავალ-დასავალი

გაზეთი „ასავალ-დასავალი“ 1992 წლის 3 მარტს დაარსდა და ყოველ ორშაბათს გამოდის. გამოცემის 100%-იანი წილის მფლობელი და რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილია. MDF-ის 2016 წლის „სიძულვილის ენის“ ანგარიშის თანახმად, „ასავალ-დასავალი“ ყველაზე ჰომოფობიური გამოცემა იყო, სადაც ასევე ქსენოფობიურ განცხადებებსაც ვხვდებით.

მედია-კავშირი „ობიექტივი“

მედია-კავშირი „ობიექტივი“ 2010 წლის აგვისტოში დაფუძნდა. დამფუძნებელთა შორის პოლიტიკური გაერთიანება „პატრიოტთა ალიანსის“ ამჟამინდელი გენერალური მდივანი ირმა ინაშვილი იყო, რომელიც ტელეკომპანიის მმართველობაში 2014 წლიდან აღარ ფიგურირებს. „ობიექტივის“ მაუწყებლობა სატელევიზიო სიხშირის გარდა, რადიო სიხშირით და ინტერნეტით ხორციელდება. ტელეკომპანია თურქოფობიულ, ქსენოფობიურ და ჰომოფობიურ სარედაქციო პოლიტიკას ატარებს. რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპის კომისიის (ECRI) მეხუთე ციკლის ანგარიშში, MDF-ის კვლევაზე დაყრდნობით, ხელისუფლებას მიეცა რეკომენდაცია, არ გააფორმოს ხელშეკრულება, არსებობის შემთხვევაში კი გააუქმოს კონტრაქტები ისეთ მედია საშუალებებთან, რომლებიც სიძულვილს აღვივებენ. ანგარიშში ამ კონტექსტში ტვ „ობიექტივიც“ მოხვდა.

„საქართველო და მსოფლიო“ (GEWORLD.GE)

გაზეთ და ინტერნეტ-პორტალ „საქართველო და მსოფლიოს“ გამოსცემს შპს „ისტორიული მემკვიდრეობა“, რომლის 2009 წელს დაფუძნებას რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი საჯაროდ მიესალმა. „ისტორიული მემკვიდრეობის“ საზოგადოებრივი საბჭოს წევრი არის მოსკოვში მოღვაწე პოლიტოლოგი ალექსანდრე ჭაჭია, რომელიც 2014 წლის 13 თებერვალს რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა რუსე-

თის ფედერაციასთან მეგობრობისა და თანამშრომლობის სფეროში შეტანილი დიდი წვლილის გამო ორდენით დააჯილდოვა. ბრძანების ტექსტში აღნიშნულია, რომ ალექსანდრე ჭაჭია სახალხო მოძრაობა „სამეგრელო“-ს თავმჯდომარეა და გამოსცემს ჟურნალს „ისტორიული მემკვიდრეობა“, ასევე გაზეთებს „ილორი“ და „საქართველო და მსოფლიო“. ისტორიული მემკვიდრეობის პარტნიორია ასევე პრო-რუსული არასამთავრობო ორგანიზაცია „ევრაზიის ინსტიტუტი“. ანტიდასავლური განწყობების გარდა, გამოცემა გამოირჩევა თურქოფობიით, რასისტული და ჰომოფობიური განცხადებებით.

საქინფორმი

საინფორმაციო სააგენტო საქინფორმის 100%-იანი წილის მფლობელი 2013 წლიდან გამოცემის რედაქტორი არნო ხიდირბეგიშვილია. დამოუკიდებლობა.com-ის თანახმად, „საქინფორმის“ დომეინი პრო-რუსული ორიენტაციის ორგანიზაციის „ისტორიული მემკვიდრეობის“ ხელმძღვანელის, ტარას გაგნიძის სახელზეა რეგისტრირებული, რომელიც „საქართველო და მსოფლიოსაც“ ფლობს. „საქართველო და მსოფლიოს“ მსგავსად, საქინფორმიც გამოირჩევა სიძულვილის ენის გაღვივებით. თურქოფობიულ შეფასებებში „საქინფორმი“ რუსეთის თურქეთის საპირწონედ წარმოჩენას და ყარსის ხელშეკრულებაზე დაუსაბუთებელ აპელირებას ახდენს.

4.2. პოლიტიკური პარტიები

გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა

პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებას 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ, აპრილში გაემიჯნა. პარტია „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა“ 2008 წლის 19 მარტს დაფუძნდა. ბურჯანაძის ბლოკი 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნებში კვალიფიციური სუბიექტი გახდა, თუმცა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში 5%-იანი ბარიერი ვერ გადალახა. ნინო ბურჯანაძე მეორე ქართველი პოლიტიკოსია, ყოფილი პრემიერის ზურაბ ნოღაიდელის შემდეგ, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, 2010 წელს ვლადიმერ პუტინს შეხვდა. 2016 წლის არჩევნებზე ის უბლოკო სტატუსის ინიციატივით გამოვიდა, რაც კონსტიტუციაში ჩანაწერის გაკეთებას ითვალისწინებდა. MDF-ის 2016 წლის მონიტორინგის შედეგად, პარტია ძირითადად ჰომოფობიური განცხადებებით გამოირჩეოდა.

თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის

თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის საჯარო რეესტრის მონაცემებით, 1998 წლის 27 თებერვალს დარეგისტრირდა. პარტიის თავმჯდომარეა თამაზ მეჭიაური, რომელიც 2012 წელს პარლამენტში კოალიცია „ქართული ოცნების“ სიით მოხვდა. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში კი დამოუკიდებლად, საკუთარი პარტიის სახელით მონაწილეობდა. წესდების მიხედვით, პარტიის ერთ-ერთი მიზანი ქართველი ერის გაერთიანება, ეროვნული მსოფლმხედველობის და ტრადიციების განმტკიცება და დაცვაა. 2017 წელს თამაზ მეჭიაური თიანეთის მერად აირჩიეს.

მემარცხენე ალიანსი

მემარცხენე ალიანსი 2013 წლის 5 ივნისს დარეგისტრირდა და მისი თანათავმჯდომარეები ლეიბორისტული პარტიიდან გამოჯნული კახა ძაგანია და იოსებ შატბერაშვილი არიან. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე პარტიას ვაზისუბნის მაჟორიტარობის კანდიდატად Geworld.ge-ს (საქართველო და მსოფლიოს) ავტორი ბაკურ სვანიძე ჰყავდა წაყენებული.

მოძრაობა ეროვნულები

მოძრაობა „ეროვნულები“ 2016 წლის 8 თებერვალს დარეგისტრირდა. წესდების მიხედვით, მოძრაობის ერთ-ერთი მიზანი მართლმადიდებლობის ღირებულებების დაცვა და განმტკიცებაა. მისი დამფუძნებლები ალექსანდრე (სანდრო) ბრეგაძე, კახაბერ მიგინეიშვილი და ზურაბ ენუქიძე არიან.

სანდრო ბრეგაძე 2014 წლის მაისში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის მოადგილედ დაინიშნა; ხოლო 2014 წლის 1 ოქტომბრიდან დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე გახდა. საჯარო პოლიტიკურ თანამდებობაზე ყოფნის პროცესში ის ხშირად აკეთებდა ჰომოფობიურ განცხადებებს, რის გამოც სამოქალაქო პლატფორმა „არა ფობიას!“ წევრებმა პრემიერ-მინისტრს მისი გადაყენების მოთხოვნით ორჯერ მიმართეს. 2016 წლის თებერვალში სანდრო ბრეგაძე თანამდებობიდან გადადგა, რის მიზეზადაც ერთი სქესის პირთა ქორწინების დაკანონებასთან დაკავშირებით მისი ნეგატიური პოზიცია დაასახელა. 2017 წელს მან სხვა პირებთან ერთად ულტრანაციონალისტური მოძრაობა „ქართული მარში“ დააფუძნა.

საქართველოს პატრიოტთა ალიანსი

„პატრიოტთა ალიანსი“ 2012 წლის 19 დეკემბერს დაფუძნდა. 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე პარტიამ პირველად მოიპოვა საკრებულოებში წარმომადგენლობა (5,37%), ხოლო 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე კი ხმების 5,01%-ით – საკანონმდებლო ორგანოში მანდატები. პარტია საკუთარ თავს მემარჯვენე-კონსერვატიულ მიმართულების იდეოლოგიას მიაკუთვნებს. პატრიოტთა ალიანსის ინგლისურენოვან ვებ-გვერდზე, რომელიც ქართულად ხელმისაწვდომი არ არის, პარტიის ხედვასა და პროგრამაში პატრიოტიზმი განმარტებულია, როგორც ეროვნულ სულთან შესაბამისობაში მოქმედება, რაც მათივე განმარტებით, ქართულ სულს გულისხმობს. ქართული სულის ტოლერანტობა, პატრიოტთა ხედვის თანახმად, სხვა ერებისგან ყველაფერი კარგის მიმღებლობისთვის მზაობას გულისხმობს, თუმცა ამავე დროს ხაზი ესმება მშობლიური ქართულის უპირატესობას. ინგლისურენოვან ვებ-გვერდზე პარტიას დეკლარირებული აქვს ევროკავშირში ინტეგრაციის სურვილი და გამოთქმული აქვს სკეპტიციზმი საქართველოს ნატოში ინტეგრაციის რეალურ პერსპექტივასთან დაკავშირებით. პარტია ტვ „ობიექტივთან“ არის დაკავშირებული და აღნიშნული მედია საშუალების მსგავსად, თურქოფობიითა და ჰომოფობიით გამოირჩევა. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ პარტიის ლიდერები ხშირად სტუმრობენ მოსკოვს და ნატო-საქართველო-რუსეთის ახალი ფორმატის შექმნის ინიციატივით გამოდიან.

სოციალისტური საქართველო / ნეიტრალური საქართველო

ტვ „ობიექტივის“ წამყვანის ვალერი კვარაცხელიას პარტია „ნეიტრალური საქართველო“ 2008 წლის 29 თებერვალში დარეგისტრირდა. 2016 წელს წინასაარჩევნო კამპანიის დროს საბჭოთა სიმბოლიკის გამოყენების გამო მოძრაობა „სოციალისტური საქართველო“, რომლის დამფუძნებელიც ვალერი კვარაცხელიაა, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა გააფრთხილა და „თავისუფლების ქარტია“ შეახსენა, რომლითაც ასეთი ქმედება კანონმდებლობით აკრძალულია. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში ვალერი კვარაცხელიამ მონაწილეობა პ/გ „საქართველოს კომუნისტური პარტიის“ სახელით მიიღო, რადგან მის პარტიას რეგისტრაცია დოკუმენტაციის არასრულყოფილების გამო გაუუქმდა.

ქართული დასი

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული დასი“ 2008 წელს არის დარეგისტრირებული. მისი ლიდერი ჯონდი ბაღათურია სხვადასხვა დროს სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებსა და გაერთიანებებში მიგრირებდა.

ქართული ოცნება

„ქართული ოცნება“ 2012 წლის თებერვალში ქართველმა მილიარდერმა – ბიძინა ივანიშვილმა დააფუძნა და დააფინანსა. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში კოალიციამ „ქართული ოცნება“ ხმათა 54%-ით გაიმარჯვა, საპარლამენტო უმრავლესობა მოიპოვა, რითაც ხელისუფლების არჩევნების გზით შეცვლის პირველი პრეცედენტი შეიქმნა. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ კოალიცია, რომელიც 6 სუბიექტისგან შედგებოდა დაიშალა, ხოლო პარტიამ არჩევნებში საკონსტიტუციო უმრავლესობა მოიპოვა. საპარლამენტო უმრავლესობაში ქართული ოცნების გარდა, ამჟამად ისევ შედიან მრეწველები, კონსერვატორები, მწვანეები, სოციალ-დემოკრატები და ფრაქცია რეგიონული განვითარებისთვის. კოალიციაში შემავალი ცალკეული სუბიექტები ანტიდასავლური, ჰომოფობიური და ქსენოფობიური განცხადებებით გამოირჩეოდნენ.

4.3. საზოგადოებრივი ორგანიზაციები

გლობალური კვლევების ცენტრი

„გლობალური კვლევების ცენტრი“ 2013 წელს იოსებ არჩვაძემ, ყოფილმა სახალხო დამცველმა ნანა დევდარიანმა და მაია ჩუბინაშვილმა დააფუძნეს. IDFI-ს პროექტის, დამოუკიდებლობა.com-ის კვლევის „რუსული გავლენა ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მედიაზე“ მიხედვით, ორგანიზაცია ანტიდასავლური განწყობების გაღვივებას უწყობს ხელს და მეტწილად პრორუსული არასამთავრობო ორგანიზაცია „ევრაზიის ინსტიტუტის“ მოსაზრებებისა და ანალიზის ტირაჟირებას ახდენს. ამასთანავე, დამოუკიდებლობა.com-ის კვლევის თანახმად, „გლობალური კვლევების ცენტრის“ მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში ძირითადად დასავლეთის მიმართ ნეგატიურად განწყობილი ექსპერტები თუ მკვლევრე-

ბი მონაწილეობენ. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ნანა დევდარიანი პოლიტიკური გაერთიანების „ნინო ბურჯანაძე – დემოკრატიული მოძრაობა“ პარტიულ სიაში მე-6 ნომერი იყო. ნანა დევდარიანი 2000-2003 წლებში სახალხო დამცველი, ხოლო 2003 წელს, ვარდების რევოლუციამდე ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე იყო.

ევრაზიული ინსტიტუტი

„ევრაზიული ინსტიტუტი“ 2009 წლის 22 სექტემბერს გულბაათ რცხილაძემ და გიორგი ვეკუამ დააარსეს. damoukidebloba.com-ის კვლევის მიხედვით, „ევრაზიული ინსტიტუტის“ ერთ-ერთი პარტნიორი რუსული ორგანიზაცია „ლევ გუმილევის ცენტრია“, რომელიც „ევრაზიული ცენტრის“ მიერ მოსკოვში 2011 წელს დაფუძნდა. ცენტრი ეთნოკონფლიქტების გადაჭრის გზად „ევრაზიანიზმის“ იდეის პოპულარიზაციას ასახელებს. „ევრაზიის ინსტიტუტს“ შეუერთდა პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებული შოთა აფხაიძე, რომელიც სასჯელს 2010 წელს ტელეკომპანია „კავკასიის“ ეთერში „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ და „სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობის“ წევრებთან ერთად შეჭრის და ექსტრემისტული ქმედებების გამო იხდიდა.

სტალინი

ორგანიზაცია „სტალინი“ საჯარო რეესტრში 2013 წელს არის დარეგისტირებული და მისი ლიდერი გრიშა ონიანია.

სახალხო კრება

„სახალხო კრება“ ნინო ბურჯანაძის „დემოკრატიულ მოძრაობა – ერთიან საქართველოსთან“ დაკავშირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციაა. ის 2006 წელს დაფუძნდა. ორგანიზაცია გამოირჩევა ანტიდასავლური, ქსენოფობიური და ჰომოფობიური რიტორიკით.

უფლებადამცველთა გაერთიანება

„უფლებადამცველთა გაერთიანება“ საჯარო რეესტრში 2012 წლის 2 აგვისტოს დარეგისტრირდა. გაერთიანების ხელმძღვანელი ნიკოლოზ მუავანაძეა.

ქართული მარში

ულტრა-ნაციონალისტური ჯგუფის „ქართული მარშის“ გამოჩენა 2017 წლის ზაფხულში არალეგალი მიგრანტების საწინააღმდეგო აქციას უკავშირდება. მარშის ორგანიზატორები არალეგალებში კონკრეტული ეროვნების წარმომადგენლებს – ირანელებს, არაბებს, აფრიკელებს და სხვებს გულისხმობენ და მათ საქართველოს ტერიტორიების დატოვებისკენ მოუწოდებენ. ისინი ასევე საემიგრაციო კანონმდებლობის გამკაცრებას ითხოვენ. „ქართული მარშის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი „ეროვნულების“ ლიდერი და „ქართული ოცნების“ ყოფილი მინისტრის მოადგილე სანდრო ბრეგაძეა.